made by Sylvain Boyer



**კომპანიის დევიზი** – Créative Technologie – შემოქმედებითი ტექნოლოგიები.

კომპანიის ლოგოტიპის – ორი ერთმანეთის პარალელური რკალის შესახებ ურთიერთგამომრიცხავი და უცნაური ვერსიები თანაარსებობს – ზოგი ვერსიით, ეს ნაძვის ხის გრაფიკული გამოსახულებაა, ზოგი ვერსიით კი – მასონური სიმბოლო. კომპანიის დამფუძნებელი და მეწარმე, ანდრე სიტროენი, გადმოცემის თანახმად, მართლაც ყოფილა მასონთა კლანის წევრი. ასეა თუ ისე, სიტროენი ნიჭიერი და მოხერხებული მწარმოებელი იყო და ხარისხიანი პროდუქციის წარმოებასთან ერთად, ისიც მშვენივრად იცოდა, როგორ გაეყიდა ნაწარმი სარფიანად. მან მცირე ზომის სათამაშო ეგზემპლარების გამოშვებაც დაიწყო. სარეკლამო მიზნებისთვისაც არასდროს ზოგავდა ფულს და სულ მალე იმ დროისთვის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ ბიზნესმენად იქცა.

The Ferrari emblem is one of the most popular in the automobile world. The story of the cavallino rampant is as follows: Italy had a World War I hero, a pilot Francesco Baracca. Baracca had won 34 air battles and his aircraft fuselage had a standing horse on it – just like the one we know from the Ferrari emblem. The future car manufacturer Enzo Ferrari was a racer at the time. Later he gathered his own team, called „Scuderia Ferrari" (the Ferrari team). The ambitious racer, who never thought of manufacturing cars, chose the horse for the team logo that brought Francesco luck at the aircraft battles. The yellow background and the Italian flag were added by Enzo's personal initiative.






Count Francesco Baracca, standing by his SPAD XIII fighter with the prancing horse logo that later became the emblem of Ferrari



Enzo Ferrari was obviously a man of great style

**„ფერარის“** ემბლემა ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია საავტომობილო სამყაროში. ყალყზე შემდგარი კვიცის (Cavallino Rampant ) ისტორია ასეთია: იტალიას ჰყავდა პირველი მსოფლიო ომის გმირი, მფრინავი, ფრანჩესკო ბარაკა. ბარაკას საჰაერო ბრძოლებში 34 გამარჯვება ჰქონდა მოპოვებული. სწორედ მისი საბრძოლო თვითმფრინავის ფიუზელაჟზე ეხატა ყალყზე შემდგარი ცხენი – ზუსტად ისეთი, როგორსაც დღეს „ფერარის" ემბლემიდან ვიცნობთ. ენცო ფერარი, მომავალი ავტომწარმოებელი, იმ დროს ავტომრბოლელი იყო. მოგვიანებით მან საკუთარი გუნდი ჩამოაყალიბა, სახელად „სკუდერია ფერარი" (ფერარის გუნდი). ამბიციურმა მრბოლელმა, რომელიც ავტომობილების წარმოებას არც აპირებდა, გუნდის ლოგოდ ის ცხენი აირჩია, რომელსაც ფრანჩესკოსთვის საჰაერო ბრძოლებში იღბალი მოჰქონდა. ყვითელი ფონი და იტალიის დროშა ცხენს ენცოს პირადი ინიციატივით დაემატა.







Since 1940

Since 1947

Enzo Ferrari began racing in 1920 in an Alfa Romeo with mixed success

Charles Stewart Rolls / Sir Frederick Henry Royce



This is the brand associated with wealth and comfort. In 1904 the company founders Charles Rolls and Frederic Henry Royce met each-other. The encounter was productive and successful. Despite the fact that Charles and Frederic were from different social strata, they easily found common interests and created the Rolls-Royce Company together by the end of the same year.

**ეს არის ბრენდი,** რომელიც ასოცირდება სიმდიდრესა და კომფორტთან. 1904 წელს კომპანიის დამაარსებლებმა, ჩარლზ როლსმა და ფრედერიკ ჰენრი როისმა, ერთმანეთი გაიცნეს. ნაცნობობა ნაყოფიერი და წარმატებული აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ ჩარლზი და ფრედერიკი სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლები იყვნენ, მათ ძალიან ადვილად გამონახეს საერთო ინტერესები და იმავე წლის ბოლოს შექმნეს ერთობლივი კომპანია – „როლს როისი" (Rolls-Royce).



The Spirit of Ecstasy is the bonnet ornament on Rolls-Royce cars



# A Traditional **AUTO SHOW** organized by TEGETA MOTORS and AUTO BUILD magazine

On October 6, Tegeta Motors and Auto Build magazine held a traditional auto show for the „Tbilisoba“ celebration.

The show was held at Metekhi Bridge. The visitors had the opportunity to see antique, handmade, sports and off-road cars as well as receive special discounts on new cars. Many interesting things took place in the frames of the event along with the trade fair of antique and new cars.

In 2011 Tegeta Motors opened the Tbilisi Porsche Center; in 2012 it welcomed a Japanese brand Mazda

## ტრადიციული ავტოშოუ **თეგეტა მოტორსისა** და ჟურნალ **ავტო ბილდის** ორგანიზებით გაიმართა

**6 ოქტომბერს,** თბილისობასთან დაკავშირებით, კომპანია ,,თეგეტა მოტორსმა“ და ჟურნალმა ,,ავტო ბილდმა“ თბილისელებისათვის ტრადიციული ავტოშოუ გამართეს.

შოუ მეტეხის ხიდზე გაიმართა. დამთვალიერებლებს საშუალება ჰქონდათ, გაცნობოდნენ ანტიკვარულ, ხელნაკეთ, სპორტულ და ოფროუდის ავტომობილებს, ასევე ესარგებლათ სპეციალური ფასდაკლებით ახალ ავტომობილებზე. ანტიკვარული და ახალი ავტომობილების გამოფენა-გაყიდვასთან ერთად, ღონისძიების ფარგლებში ორგანიზატორებმა ავტომოყვარულებს უამრავი საინტერესო სანახაობა შესთავაზეს.











on the market. At the auto show, the company gave the auto fans the opportunity to view brand new models and world's auto industry tendencies. The Tbilisi Mazda Center presented the following models at the fair: Mazda3, Mazda6, Mazda CX7 and Mazda CX9.

Chief Editors of Auto Build Lithuania and Auto Build India – Vitoldas Milius and Yogenda Pratap visited Georgia particularly to attend this show. They drove an antique VAZ 2101 from Vilnius to Tbilisi; this automobile was also presented at the exhibition.



PHOTOS Tegeta Motors archive









მოგეხსენებათ, 2011 წელს „თეგეტა მოტორსმა" გახსნა „პორშე ცენტრი თბილისი", 2012 წელს კი იაპონური ბრენდი, „მაზდა" შემოიყვანა ბაზარზე. ავტოშოუს ფარგლებში კომპანიამ ავტომოყვარულებს შესაძლებლობა მისცა, ავტოსალონს გარეთ, უკეთ გაცნობოდნენ ავტომწარმოებლების უახლეს მოდელებსა და მსოფლიო ავტოინდუსტრიის ტენდენციებს. გამოფენაზე „მაზდა ცენტრი თბილისის" მიერ წარმოდგენილი იყო შემდეგი მოდელები: Mazda3; Mazda6; Mazda CX7 და Mazda CX9.

სპეციალურად ამ შოუსთვის, საქართველოში ჩამოვიდნენ „ავტო ბილდ ლიტვის" და „ავტო ბილდ ინდოეთის" მთავარი რედაქტორები – ვიტოლდას მილიუსი და იოგენდრა პრატაპი. გზა, ვილნიუსიდან თბილისამდე, მათ ანტიკვარული „ვაზ 2101-ით" გამოიარეს, რომელიც ასევე წარმოდგენილი იყო ავტოშოუზე.






# Buyer of the 1 000 000th

On October 24, Tegeta Motors head office hosted a special ceremony to award the purchaser of 1 000 000th liter of Shell lubricants. To celebrate this cause, the Shell global office initiated a 20% discount on its products.

All Tegeta Motors branch offices were ready to award the winner. A pleasant surprise awaited the lucky customer to purchase the 1 000 000th liter of Shell lubricant at the head office where he bought a 4-liter pack.

Tegeta Motors awarded Merab Cherkezishvili with a voucher worth 1 000 GEL and some other gifts from the Shell macro distributor at the ceremony arranged particularly for the event. The main prize was also

# შელის
## მე-1 000 000 ლიტრის მყიდველი

**24 ოქტომბერს,** „თეგეტა მოტორსის“ სათაო ოფისში გაიმართა „შელის“ მე-1 000 000 ლიტრის მყიდველის დაჯილდოების ცერემონიალი. ამ ფაქტის აღსანიშნავად „შელის“ გლობალურმა ოფისმა ზეთებზე 20%-ანი ფასდაკლების აქცია ჩაატარა.

გამარჯვებულის დასაჯილდოებლად მზად იყო „თეგეტა მოტორსის“ ყველა ფილიალი. იღბლიან მომხმარებელს კი, რომელმაც Shell-ის საავტომობილო ზეთის მე-1 000 000 ლიტრი შეიძინა, სასიამოვნო მოულოდნელობა ცენტრალურ ფილიალში დახვდა, სადაც მან საავტომობილო ზეთის 4-ლიტრიანი შეფუთვა შეიძინა.






PHOTOS Tegeta Motors archive




# liter **Shell** lubricant

revealed, becoming a very emotional surprise for the lucky customer.

The main prize was a tour package to the world-class auto show TEST THE BEST in Rome. This is an annual event very popular around the world. Many auto brands present their newest models there.

Tegeta Motors is the exclusive Shell distributor in Georgia. Shell lubricants are distinguished with high quality, which creates a high demand on the product – 1 000 000 liters have already been sold. The portfolio of Shell lubricants consists of the products such as Shell Helix, Shell Rimula, Shell Tellus and so on. This brand is officially recommended by Hyundai, Mercedes, Mazda, Honda, Kia, Fiat, Mitsubishi, Renault and other leading manufacturers; it is also the irreplaceable partner to Ferrari.

მერაბ ჩერქეზიშვილს „თეგეტა მოტორსმა" 1 000 ლარიანი ვაუჩერი და სხვა საჩუქრები „შელის" მაკროდისტრიბუტორთან ერთად, სპეციალურად გამართულ ღონისძიებაზე გადასცა. აქვე გახდა ცნობილი მთავარი პრიზის შესახებაც, რაც იღბლიანი მომხმარებლისთვის ემოციური სიურპრიზი იყო.

მთავარი პრიზი გახლდათ საგზური რომში, მსოფლიო დონის ავტოშოუზე – TEST THE BEST. ღონისძიება წელიწადში ერთხელ იმართება და უდიდესი პოპულარობით სარგებლობს მთელ მსოფლიოში. იტალიაში, ქალაქ რომში, სხვადასხვა საავტომობილო ბრენდები წარმოადგენენ უახლეს მოდელებს.

„თეგეტა მოტორსი" „შელის" ექსკლუზიური დისტრიბუტორია საქართველოში. ამ ბრენდის საავტომობილო ზეთი გამოირჩევა მაღალი ხარისხით, რაც განაპიროებებს პროდუქციაზე მაღალ მოთხოვნას – უკვე გაიყიდა 1 000 000 ლიტრი. „შელის" საცხებ-საპოხი მასალების პორტფელი მოიცავს ისეთ პროდუქტებს, როგორებიცაა: Shell Helix, Shell Rimula, Shell Tellus... ბრენდი ოფიციალურად რეკომენდებულია „ჰიუნდაის", „მერსედესის", „მაზდას", „ჰონდას", „კიას", „ფიატის", „მიცუბიშის", „რენოს" და სხვა ლიდერი მწარმოებლების მიერ და Ferrari-ს უცვლელი პარტნიორია.






# MAN Truck & Bus – the FUTURE is HERE

If it had not been for the metal processing plant in Oberhausen, the first industrial wave would not have started and MAN SE GROUP would not have been founded in 1758. The largest company in MAN group is MAN Truck & Bus founded in Munich, Germany.

In 1897 Rudolf Diesel invented the first diesel engine known under the name „Maschinenfabrik Augsburg AG". The name underwent certain alterations in the beginning of the twentieth century and finally formed an abbreviation – M.A.N. The company still operates under this name manufacturing different types of transport: construction, commercial, municipal purpose trucks; semi-trailers, articulated dump trucks, trucks with tents, trailers etc.

MAN Truck & Bus products are one of the leading in sales, the reason for which is technological leadership. The company experience provides the opportunity to foresee the demands of the future, causing stabile leadership of the product on the market. The company constantly responds to demands of tomorrow and reaches innovative solutions for all problems. MAN produces inventions in the fields of transportation system management and satellite






MAN still operates under this name manufacturing different types of transport: construction, commercial, municipal purpose trucks; semi-trailers, articulated dump trucks, trucks with tents, trailers etc.



Rudolf Diesel
1858-1913

communications. It pays constant attention to improving the automobiles in terms of design and efficiency. Mobility and safety are of the greatest demands of the modern society. This is achieved through developing and implementing innovative technologies. The concept of the company includes protecting the environment, as well as reducing the amount of consumed petrol, pollution and noise – all of which is possible due to technological development. The company is trying to provide its customers with as much comfort as possible, while being ecofriendly and consuming less petrol at the same time.

The program of constant efficiency consists of several points:

– Covering larger distance on diesel engines
– Improving driving safety through electronic support systems that reduce traffic accidents
– Maximum comfort in driver cabin, which increases concentration
– Improved flexible services

The company manufactures its products in four cities in Germany: Plauen, Salzgitter, Munich and Nuremberg. The basic values are: reliability, innovativeness, dynamics and transparency. Reliability means that the company will definitely justify your hopes; it always lives up to its promises. Innovativeness – means solving problems in a creative manner while dynamics stands for knowing your strength and potential. Transparency provides the opportunity of sharing ideas and cooperation.

Tegeta Truck & Bus represents MAN Truck & Bus as well as other famous heavy equipment companies. Tegeta Truck & Bus is sharing and establishing world standards in Georgia.

# MAN Truck & Bus – მომავალი უკვე დადგა

**ობერჰაუზენში** რომ არ ამოქმედებულიყო რკინის გადამამუშავებელი ქარხანა, არ მოხდებოდა პირველი ინდუსტრიული მოვლენა, ამას კი არ მოყვებოდა „MAN SE" ჯგუფის დაარსება, 1758 წელს. „MAN" ჯგუფიდან ყველაზე დიდი კომპანია „MAN Truck & Bus"-ია, რომელიც გერმანიაში, მიუნხენში დაარსდა.

1897 წელს რუდოლფ დიზელმა პირველი დიზელზე მომუშავე ძრავა გამოიგონა, რომელიც ცნობილი გახდა შემდეგი სახელით: „Maschinenfabrik Augsburg AG". მეოცე საუკუნის დასაწყისში სახელმა ფორმირება განიცადა, საბოლოოდ კი, აბრევიატურად – M.A.N – გადაკეთდა და დღემდე ამ სახელით აგრძელებს მოღვაწეობას. კომპანია სხვადასხვა სახის ტრანსპორტს აწარმოებს: სამშენებლო, კომერციული, მუნიციპალური დანიშნულების სატვირთოები; ნახევრად მისაბმელი, ზედდგმული თვითმცლელები, ტენტიანი, მისაბმელიანი და სხვა.

„MAN Truck & Bus"-ის პროდუქცია გაყიდვებში ერთ-ერთი მოწინავეა, ამის მიზეზი მისი ტექნოლოგიური პირველობაა. კომპანიის გამოცდილება ბაზარზე არსებული სამომავლო მოთხოვნების გათვალისწინების საშუალებას იძლევა, რაც პროდუქტის სტაბილურ პირველობას იწვევს. კომპანია მუდმივად პასუხობს ხვალინდელ მოთხოვნებს და პრობლემის ინოვაციურ გადაწყვეტამდე მიდის. „MAN"-ი გამოგონებებს სატრანსპორტო სისტემის მართვისა და თანამგზავრული კომუნიკაციების სფეროშიც ახორციელებს. ის მუდამ დიდ ყურადღებას უთმობს ავტომობილების გაუმჯობესებას, დიზაინისა და ეკონომიურობის კუთხით. მობილობა და უსაფრთხოება თანამედროვეობის ყველაზე დიდი მოთხოვნაა. ამას კი, ინოვაციური ტექნოლოგიების შემუშავებისა და დანერგვის გზით ახერხებს. კომპანიის კონცეპციაში გარემოს დაცვაც შედის, საწვავის, გამონაბოლქვისა და ხმაურის შემცირებაც, რა თქმა უნდა, ამ ყველაფერს ტექნოლოგიური განვითარებისა და დახვეწის ხარჯზე აკეთებს. ცდილობს, გლობალიზაციის ეპოქაში მომხმარებელს რაც შეიძლება მეტი კომფორტი შეუქმნას, ამასთან, იზრუნოს გარემოზე და გამოიყენოს ნაკლები საწვავი, შესაბამისად, უფრო ნაკლებად დააბინძუროს გარემო.

მუდმივი ეფექტურობის პროგრამა რამდენიმე პუნქტისგან შედგება:

– უფრო მეტი კილომეტრის გავლა დიზელის ძრავით
– გაუმჯობესებული მოძრაობის უსაფრთხოება, ელექტრონული დამხმარე სისტემებით, რაც მომავალში ამცირებს საგზაო შემთხვევებს
– საიმედოობის უმაღლესი ხარისხი, მგზავრებისა და ტვირთის ტრანსპორტირება დათქმულ დროში

PHOTOS MAN




– მძღოლის კაბინაში მაქსიმალური კომფორტის შექმნა, რაც ზრდის მისი კონცენტრაციის უნარს – გაუმჯობესებული, მოქნილი სერვისები.

კომპანია პროდუქტს გერმანიის ოთხ ქალაქში აწარმოებს: ფლაუენში, ზალცგიტერში, მიუნხენსა და ნურემბერგში. ძირითადი ღირებულებებია: საიმედოობა, ინოვაციურობა, დინამიურობა, გამჭვირვალობა. სანდომიანობა ნიშნავს, რომ კომპანია აუცილებლად გაგიმართლებთ იმედებს, ის მუდამ ასრულებს დანაპირებს. ინოვაციურობა – პრობლემების კრეატიული გადაწყვეტას გულისხმობს, დინამიურობაში შენი სიძლიერისა და პოტენციალის ზუსტად ცოდნა იგულისხმება. გამჭვირვალობა კი აზრთა გაცვლისა და თანამშრომლობის საშუალებას იძლევა.

„MAN Truck & Bus“-ის, ისევე, როგორც მსოფლიოში აღიარებული სხვა მძიმე ტექნიკის მწარმოებელი კომპანიების წარმომადგენელი, „თეგეტა ტრაქ ენდ ბასია“, კომპანია, რომელიც საქართველოში მსოფლიო სტანდარტებს იზიარებს და ნერგავს.

# TEGETA MOTORS has become an Official Member of **GROUPAUTO** INTERNATIONAL

Groupauto International is a chain store of spare parts and other services on the international automobile market, which unites suppliers and group members from different countries. The group currently unites 4000 partner auto service centers located in 23 countries around the world.

Brands such as ZF Friedrichshafen AG, Federal-Mogul, DAYCO, Fabi Bilstein, Shell, TRW, Philips, Bosch, KYB, Karcher, Denso, Mahle etc. are members of Groupauto International.

A partnership agreement was signed between Tegeta Motors and Groupauto Union International (GAUI) in 2012 which means that Tegeta Motors has made a significant step forward to establishing a sound environment for spare parts supply and equipped itself for future challenges. It needs to be noted that the quality of products and services is of a big importance for the group and Tegeta Motors is always focused on quality.

## თეგეტა მოტორსი GROUPAUTO INTERNATIONAL-ის ოფიციალური წევრი გახდა

**GROUPAUTO INTERNATIONAL**-ი საერთაშორისო საავტომობილო ბაზარზე სათადარიგო ნაწილების განაწილებისა და მომსახურების ქსელია, რომელიც მრავალი ქვეყნის მომწოდებლებსა და ჯგუფის წევრებს აერთიანებს. ამჟამად, ჯგუფი 4000 პარტნიორ ავტოსერვისცენტრს მოიცავს, რომლებიც მსოფლიოს 23 ქვეყანაშია განთავსებული.

Groupauto International-ის წევრები არიან ისეთი ბრენდები, როგორებიცაა: ZF Friedrichshafen AG, Federal-Mogul, DAYCO, Febi Bilstein, Shell, TRW, Philips, Bosch, KYB, Karcher, Denso, Mahle და სხვა.

2012 წელს „თეგეტა მოტორსსა" და Groupauto Union International-ს (GAUI) შორის პარტნიორული ხელშეკრულება გაფორმდა და ქართული კომპანია ქსელის ოფიციალური წევრი გახდა, რაც ნიშნავს, რომ მან ავტოსათადარიგო ნაწილების მიმართულებით ოპტიმალური გარემოს შექმნისაკენ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა და სამომავლო გამოწვევებისათვის საიმედოდ აღიჭურვა. საქონლისა და

All resources of members of Groupauto International and their know-how are successfully united in an integral system used by the group partners (spare parts industry, trade and service networks). Therefore GAUI does not only help companies to strengthen their positions on the market but also takes care of their future development.

It should be noted that in April, the congress of Groupauto International will be held in Split, Croatia, where Tegeta Motors and thus – Georgia will be represented as an equal member of the group for the first time.

Groupauto International has the following projects for service centers: EuroGarage, G-truck and Top Truck.

Groupauto International member companies are united under the following criteria:

– Service centers under the same symbol
– High level of service
– Availability and use of high quality spare parts
– Program provision, database and electronic catalogues
– Technical and commercial trainings
– Marketing programs

სერვისის ხარისხს ჯგუფში დიდი მნიშვნელობა ენიჭება, „თეგეტა მოტორსი" კი მუდამ ხარისხზეა ორიენტირებული.

Groupauto International-ის ყველა წევრის რესურსები და „ნოუ-ჰაუ" ერთიან სისტემაში წარმატებულად ერთიანდება, რომელსაც ჯგუფის პარტნიორები (სათადარიგო ნაწილების ინდუსტრია, სავაჭრო და სერვისის ქსელები) წარმატებით იყენებენ. შესაბამისად, GAUI კომპანიებს არა მარტო ბაზარზე პოზიციების გამყარებაში ეხმარება, არამედ მათ სამომავლო განვითარებაზეც ზრუნავს.

აღსანიშნავია, რომ აპრილში, ხორვატიის ქალაქ სპლიტში გაიმართა Groupauto International-ის კონგრესი, სადაც „თეგეტა მოტორსი" და, შესაბამისად, საქართველო პირველად იყო წარმოდგენილი, როგორც ჯგუფის სრულუფლებიანი წევრი.

Groupauto International-ს სერვისცენტრების მიმართულებით აქვს შემდეგი პროექტები: „EuroGarage", „G-Truck" და „Top Truck".

ჯგუფში გაწევრიანებულ ორგანიზაციებს აერთიანებთ:

– ერთიანი სიმბოლიკით გაფორმებული სერვისცენტრები
– მომსახურების მაღალი დონე
– მაღალხარისხიანი სათადარიგო ავტონაწილების ხელმისაწვდომობა და გამოყენება
– პროგრამული უზრუნველყოფა, მონაცემთა ბაზა და ელექტრონული კატალოგები
– პერსონალის ტექნიკური და კომერციული ტრენინგები
– მარკეტინგული პროგრამები

The TEGETA MOTORS TEAM successfully

# CHAMPIONS of GEORGIA

## საქართველოს ჩემპიონატზე

წრიულ ავტორბოლაში „თეგეტა მოტორსის“ გუნდმა წარმატებით იასპარეზა

Last year TEGETA MOTORS made significant advances in supporting the development of auto-sport in Georgia. The company team participated in the CIRCUIT RACING CHAMPIONSHIP of GEORGIA and won the second place.

ZURA BEZHASHVILI, the most titled of all current racers in Georgia competed on behalf of TEGETA MOTORS TEAM. He is a 16-time Champion of Georgia in different racing styles and 10-time record holder of the Rustavi International Motorpark in body race cars and three-time prize-winner in the EUROPEAN RALLY CHAMPIONSHIP.

There were 7 stages in the open championship of Georgia in circuit racing in the following classes: FORMULA ALFA, LEGENDS, GT ANDTOURING. Representatives of different teams participated in the races. There were a total of 14 races. TEGETA MOTORS won 2 first, 3 second and 2 third places in a total of 7 races.

It should be noted that on April 27-29 there were official trainings and qualification races held at the RUSTAVI INTERNATIONAL MOTORPARK – where ZURA BEZHASHVILI demonstrated the best time. Although the Championship didn't pass without excesses for this participant – on April 28, his car was seriously damaged during the race, yet, as a result of hard work from the TEGETA MOTORS service team ZURA BEZHASHVILI performed honorably in front of the audience and the fans on April 29. Moreover, he established a new lap record in the race held at the RUSTAVI INTERNATIONAL MOTORPARK just recently (Time: 1.58.01).



competed in the CIRCUIT RACING

# HIP



Our readers have the chance to learn more about ZURA BEZHASHVILI from the interview prepared especially for them:

**WHAT WAS YOUR FIRST INTERACTION WITH AUTOSPORTS?**

My uncle, my father's brother, Givi Bezhashvili was a multiple-time champion of Georgia in motocross – the Soviet Union prize-winner. I was about 5 of 6 years old when I used to look through his photos, where I saw my uncle 3-4 meters in the air. This excited

**ᲒᲐᲡᲣᲚ ᲬᲔᲚᲡ** „თეგეტა მოტორსმა“ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა, საქართველოში ავტოსპორტის განვითარების ხელშეწყობის თვალსაზრისით. საქართველოს ჩემპიონატზე, წრიულ რბოლაში კომპანია საკუთარი გუნდით ასპარეზობდა და მეორე ადგილი მოიპოვა.

„თეგეტა მოტორსის“ გუნდის სახელით ჩემპიონატზე საქართველოში, მოქმედ მრბოლელებს შორის ყველაზე ტიტულოვანმა ავტომრბოლელმა, ზურა ბეჟაშვილმა იასპარეზა. ის საქართველოს 16-გზის ჩემპიონია, ავტორბოლის სხვადასხვა სახეობებში, ასევე რუსთავის ავტოდრომის 10-გზის რეკორდსმენი, ძარიანი ავტომობილებით რბოლაში და სამგზის ევროპის ჩემპიონატის ეტაპის პრიზიორი რალიში.

საქართველოს ღია ჩემპიონატის 7 ეტაპი, წრიულ რბოლაში შემდეგ კლასებში გაიმართა: Formula Alfa, Legends, GT, Touring. ავტორბოლებში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა გუნდების წარმომადგენლებმა. სულ 14 რბოლა გაიმართა.



> There is no human without fear, but as surprising as it may be, autosport is one of the safest types of sports

me. I loved automobiles and equipment as it was and this just made me go crazy. My family didn't want me to take this up, but I still engaged in motorsports at the age of 23. That's very late for autosport, very late. It's practically impossible. But the field was not that developed back then... I don't know if it was because of talent or something else, but I'm a 16-time Champion of Georgia today and a three-time prize-winner in the European Rally Championship. I have established 10 records at the Rustavi racing circuit. There were times when I was a three-time champion a year. Imagine that, I've been in the Georgian National Team from




შემაჯამებელი 7 რბოლიდან „თეგეტა მოტორსმა“ 2 პირველი, 3 მეორე და 2 მესამე ადგილი მოიპოვა.

აღსანიშნავია, რომ 27, 28 და 29 აპრილს, რუსთავის ავტოდრომზე, ჩატარდა ოფიციალური ვარჯიშები, საკვალიფიკაციო რბოლები – სადაც ზურა ბეჟაშვილმა საუკეთესო დრო აჩვენა. თუმცა, ჩემპიონატს სპორტსმენისთვის ექსცესების გარეშე არ ჩაუვლია. საქმე ისაა, რომ 28 აპრილს, ავტორბოლის დროს, მისი ავტომობილი საკმაოდ დაზიანდა, მაგრამ „თეგეტა მოტორსის“ სერვისის თანამშრომლების თავდაუზოგავი შრომის შედეგად, 29 აპრილს სპორტსმენი ღირსეულად წარდგა მაყურებლისა და გულშემატკივარის წინაშე. მეტიც, სულ ცოტა ხნის შემდეგ რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომზე გამართულ ავტორბოლაში ტრასის ახალი რეკორდი დაამყარა. (დრო: 1.58.01).

ჩვენს მკითხველს საშუალება აქვს, უფრო ახლოს გაიცნოს სპორტსმენი და უფრო მეტი შეიტყოს მის შესახებ, სპეციალურად მათთვის მომზადებული ინტერვიუდან:

## როგორი იყო თქვენი პირველი შეხება ავტოსპორტთან?

ბიძაჩემი, მამაჩემის ძმა, გივი ბეჟაშვილი, იყო საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი მოტოკროსში – საბჭოთა კავშირის პრიზიორი. დაახლოებით ხუთი ექვსი წლის ასაკში ხშირად ვათვალიერებდი მის ფოტოებს, რომლებზეც გამოსახული იყო ბიძაჩემი, 3-4 მეტრის სიმაღლეზე, ჰაერში. ეს აღმაფრთოვანებდა. ისედაც მიყვარდა ავტომობილი, ტექნიკა და ამან საერთოდ გადამრია. ოჯახში არ უნდოდათ, რომ ამ გზას გავყოლოდი, მაგრამ 23 წლის ასაკში მაინც ჩავები ამ საქმეში. ეს კი ძალიან გვიანია ავტოსპორტისათვის, ძალიან. ასეთი რამ ფაქტობრივად შეუძლებელია. მაგრამ მაშინ ასეთი განვითარებული არ იყო ავტოსპორტი... არ ვიცი, ნიჭის ბრალია, თუ სხვა რამის, მაგრამ დღეს 16-გზის საქართველოს ჩემპიონი ვარ და სამგზის ევროპის ჩემპიონატის ეტაპის პრიზიორი რალიში. დავამყარე 10 რეკორდი რუსთავის ავტოდრომზე. იყო წლები, როცა წელიწადში სამგზის ჩემპიონი ვიყავი. თქვენ წარმოიდგინეთ, 1989 წლიდან საქართველოს ნაკრებში ვარ და არასდროს, წლის ბოლოს სამეულს მიღმა არ დავრჩენილვარ, ქულათა რაოდენობით. ასეთ ფაქტს ადგილი ჰქონდა  მხოლოდ 2010 წელს – გარკვეული მიზეზების გამო რამდენიმე რბოლა გამოვტოვე.

## შიშის ფაქტორი რბოლის დროს...

შიშის გარეშე ადამიანი არ არსებობს, მაგრამ რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, ერთ-ერთი ყველაზე დაცული სპორტის სახეობა ავტოსპორტია, განსაკუთრებით, წრიული რბოლა... რალი შედარებით დაუცველია, მაგრამ წრიული რბოლის შემთხვევაში – იქვეა სასწრაფო, სახანძრო და მსაჯებიც ყოველ მოსახვევში



1989 and I've never been left beyond the prize-winning three in number of points. That only happened in 2010 when I missed several races because of certain reasons.

### THE FEAR FACTOR DURING THE RACE...

There is no human without fear, but as surprising as it may be, autosport is one of the safest types of sports, especially the circuit racing... Rally is a bit less safe, but when it comes to circuit racing – the emergency and fire departments are always there and there are judges on every turn. There are special racing suits that endure open fire for several minutes. Although, I should also note that there are no cowardly people in autosport.

### WHAT DO YOU LOVE MOST ABOUT YOUR JOB?

Speed, maximum speed! Circuit racing is completely different from other racing styles in this sense. The race is much tense here, much more interesting. There is no speed limit. Leaving someone behind is a great satisfaction, it means that you're better than the competitor; it means you're better prepared.

### HOW FAST DO YOU DRIVE IN THE CITY?

Have you ever seen a boxer go up to a passer-by and start sparring? That would be a shame, wouldn't it? The same is with us. A real racer never does that. Whoever drives very fast in the street either knows nothing about racing, or is too young to realize what his actions could result in. It is dangerous, a kid could run out to cross the street or there could be a drunk driver. When you're going on a very high speed, no matter how good a racer you

დგანან. არსებობს სპეციალური კომბინიზონები, რომლებიც რამდენიმე წუთის განმავლობაში ღია ცეცხლს უძლებს. თუმცა, აქვე მინდა გითხრათ, რომ ავტოსპორტში მშიშარა ადამიანები უბრალოდ არ არსებობენ.

### რა გიყვართ ყველაზე მეტად თქვენს საქმეში?

სიჩქარე, მაქსიმალური სიჩქარე! წრიული რბოლა, ამ მხრივ, გამოირჩევა სხვა სახეობებისაგან. აქ უფრო დაძაბულია რბოლა, უფრო საინტერესოა. არ არსებობს შეზღუდვა სისწრაფეში. როცა ვინმეს ვუსწრებ, უდიდეს სიამოვნებას ვიღებ, ეს ხომ ნიშნავს, რომ რაღაცით ჯობნი მეტოქეს, ესე იგი უკეთ მოემზადე.

### როგორი სისწრაფით მოძრაობთ ქალაქში?

გინახავთ მოკრივე, რომელიც ქუჩაში შემთხვევით გამვლელთან მივა და „ესპარინგება“? ხომ სირცხვილი იქნება? ასეა ჩვენთანაც. ნამდვილი ავტომრბოლელი არასდროს აკეთებს ამას. ვინც ქუჩაში ძალიან სწრაფად დადის, ან არაფერი გაეგება ამ საქმის, ან ძალიან ახალგაზრდაა და ვერ აცნობიერებს, რა შეიძლება მოყვეს მის საქციელს. საშიშია, შეიძლება ბავშვმა გადაგირბინოს, შეიძლება ნასვამი მძღოლი შეგხვდეს. როცა ძალიან მაღალი სისწრაფით მიდიხარ, როგორი ძლიერი მრბოლელიც არ უნდა იყო, ასეთ სიტუაციაში ვერაფერს გააწყობ.

### რითი ხართ დაკავებული ავტოსპორტის გარდა?

ჩემი ცხოვრება ყოველმხრივ დაკავშირებულია ავტოსპორტთან. 25 წელზე მეტია, ამ სფეროში ვმოღვაწეობ. პროფესიაც ახლოს არის ამ საქმესთან – ავტოინჟინერი ვარ. ვმუშაობ „თეგეტა მოტორსში“, ავტოექსპერტად. მაგრამ ეს ყველაფერი ავტოსპორტიდან გამომდინარეა. ადრე რბოლა ჩემთვის ჰობი იყო, მერე პროფესიად იქცა. ახლა ეს ყველაფერია. თუმცა, ასევე ძალიან მიყვარს: ნადირობა, თევზაობა და მეღვინეობა.

### გყავთ საყვარელი ავტომობილი?

იქიდან გამომდინარე, რომ ოჯახის კაცი ვარ, მყავს ორი ავტომობილი: 2005 წლის CRV და 2006 წლის Honda Civic-ი. ზაფხულში ერთით დავდივარ, ზამთარში მეორით. სარბოლოდაც „ჰონდა“ მყავს, მაგრამ ჩემი საყვარელი ავტომობილი, რომელზეც მართვა ვისწავლე, 1942 წელს გამოშვებული ამერიკული „ვილისია“ – ახლა უკვე განახლებული. 20 წელია, ვაკეთებ და როგორც იქნა, შევაკეთე! ძალიან მიყვარს, ბაბუაჩემის ნაჩუქარია.

### რა არის საჭირო იმისათვის, რომ იყო კარგი მრბოლელი?

ცოდნა, ნიჭი, ფინანსები და გასაქანი, რომ ნიჭის რეალიზაცია მოახდინო.

Have you ever seen a boxer go up to a passer-by and start sparring? That would be a shame, wouldn't it? The same is with us.




might be, there's nothing you can do about such situations.

**WHAT ELSE DO YOU DO OTHER THAN AUTOSPORT?**

My life is connected to autosport in every way. I've been in this field for over 25 years. I'm close to it by profession too – I'm a car engineer. I work as a car expert at Tegeta Motors. But all of this is because of autosport. Racing used to be a hobby, and then it became my profession. It's everything; although I also like hunting, fishing and wine-making very much.

**DO YOU HAVE A FAVORITE CAR?**

Considering the fact that I'm a family man, I have two cars: a 2005 CRV and a 2005 Honda Civic. I drive one in the summer and the other in winter. I have a Honda for racings too, yet my favorite car is the one I learned how to drive in, a 1942 American Willys – now renewed. I've been repairing it for 20 years and finally, it's done! I love it very much – it was a gift from my grandfather.

**WHAT DOES ONE NEED TO BE A GOOD RACER?**

Knowledge, finances, talent and a scope to actualize it.

# A 17 YEAR OLD PROFESSIONAL RACER

„A 17-year-old professional racer" – you have to agree, that's an interesting combination of words. A little unusual even, because it's hard to be called a professional at 17, especially when it comes to motorsports. This requires a lot of determination, energy and experience. But Shako Tsikhelashvili is a special case. Talking to him gives you the impression that you're dealing with a grown-up. He speaks in a calm tone and his reasoning has no signs of childish emotions. He knows exactly what he wants and advances towards his goals step-by-step. Car enthusiasts have been observing his success for many years now, first in amateur, then in professional competitions. Everyone remembers his victories, among them, the first place in amateur race in pairs where there were 22 sportsmen participating, yet the young racer didn't let anyone take the first place. As of today he participates in different championships with the legendary Zura Bezhashvili on behalf of Tegeta Motors. He has already won the 2012-2013 Winter Championship in the Front Wheel Drive category and the third place with unimaginable results at the Absolute Break.




# 17 წლის
## პროფესიონალი ავტომრბოლელი

**„17 წლის** პროფესიონალი ავტომრბოლელი" – დამეთანხმებით, საკმაოდ საინტერესო სიტყვათშეთანხმებაა. ცოტა უცნაურიც კი, იმიტომ, რომ ძალიან რთულია, 17 წლის ასაკში პროფესიონალი გერქვას, მით უმეტეს, ისეთ რთულ დარგში, როგორიც ავტოსპორტია. ეს ხომ უამრავ ძალისხმევას, ენერგიას და გამოცდილებას მოითხოვს. მაგრამ, შაკო ციხელაშვილის შემთხვევა განსაკუთრებულია. მასთან საუბრისას ჩნდება შთაბეჭდილება, რომ ზრდასრულ ადამიანთან გაქვთ საქმე. მისი ტონი მშვიდია, მსჯელობა კი მოკლებულია ბავშვურ ემოციებს. მან ზუსტად იცის, რა უნდა და ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევს წინ, საკუთარი მიზნებისაკენ. ავტომოყვარულები უკვე მრავალი წელია, თვალს ადევნებენ მის წარმატებებს, ჯერ სამოყვარულო, შემდეგ კი პროფესიონალთა შორის ასპარეზობებზე. ყველას კარგად ახსოვს მისი გამარჯვებები, მათ შორის, პირველი ადგილი მოყვარულთა შორის წყვილთა

TM Autograph has decided to talk to him; Shako arrived to the interview straight from exams and we had a very interesting conversation.

Here's an interview with Shako Tsikhelashvili. We promise to inform you of all of his new successes and we wish him luck!

**HOW LONG HAVE YOU BEEN INVOLVED IN AUTO-SPORT?**

I was five when my father taught me how to drive. I could barely reach the pedals. I've been engaged in this field since I was a child; I often attended competitions with my father. He is a car enthusiast and a Technical Director at Tegeta Motors. I was twelve when they took me to the Extreme Driving School. They bought me a car when I was 13 and I've been competing since then. At 14 I received a professional driver's license. I participated in amateur races in pairs. I'm the Champion of Georgia since 2012.

I now compete as a professional on behalf of Tegeta Motors and I will race with ZuraBezhashvili in the season of 2013.

**WHERE DO YOU STUDY AND WHAT ARE YOUR PLANS?**

I study at Komarov School of Physics and Mathematics; I'm in the twelfth grade. My father always told me education was first and then came all the rest. I study only because I want to have enough finances and anything else I will need to remain in auto-sport in the future. I'm applying to ESM for the faculty of Computer Technologies and Math.

**WHAT'S YOUR MAIN GOAL?**

I want to race in the WTCC on behalf of Georgia. This is the World Turning Car Championship. I don't claim to win, but I want to participate and present our country. I also want to own a Porsche – that's my dream car.



I was twelve when they took me to the Extreme Driving School. They bought me a car when I was 13 and I've been competing since then

რბოლაში, სადაც 22 სპორტსმენი იღებდა მონაწილეობას, თუმცა ახალგაზრდა მრბოლელმა პირველობა არავის დაუთმო. დღესდღეობით ის „თეგეტა მოტორსის" სახელით გამოდის სხვადასხვა ჩემპიონატზე, ლეგენდარულ ზურა ბეჟაშვილთან ერთად და უკვე ზამთრის სეზონი 2012-2013-ს ჩემპიონი გახდა, კატეგორიაში „წინა წამყვანი თვლები", ხოლო აბსოლუტურ ჩათვლაში, წარმოუდგენელი შედეგებით, მესამე ადგილი მოიპოვა.

TM Autograph-მა გადაწყვიტა, გასაუბრებოდა მას. შედეგად, შაკო პირდაპირ გამოცდებიდან მოვიდა ინტერვიუზე და ჩვენ შორის საინტერესო საუბარი გაიმართა.

გთავაზობთ ინტერვიუს შაკო ციხელაშვილთან, გპირდებით, რომ აუცილებლად შეგატყობინებთ მისი ყოველი ახალი წარმატების შესახებ და ვუსურვებთ წარმატებებს!

**ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲮᲐᲜᲘᲐ, ᲩᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲮᲐᲠ ᲐᲕᲢᲝᲡᲞᲝᲠᲢᲨᲘ?**

ხუთი წლის ვიყავი, მამაჩემმა რომ მანქანის ტარება მასწავლა. თითქმის ვერ ვწვდებოდი სატერფულებს. ბავშვობიდან ჩართული ვიყავი ამ სფეროში, ხშირად დავდიოდი მამასთან ერთად შეჯიბრებებზე. ის ავტომოყვარული და „თეგეტა მოტორსის" ტექნიკური დირექტორია. თორმეტი წლის ვიყავი, როცა ექსტრემალური მართვის სკოლაში შემიყვანეს. 13 წლისას ავტომობილი მიყიდეს, ცამეტი წლიდან შეჯიბრებებზე გამოვდივარ.



### DO YOU HAVE A FAVORITE RACER?

I've got favorites in all styles separately. In rally – it's Marcus Grönholm, a Finnish racer – I've loved him since I was little (he is now a rallycross racer). There's also Sébastien Loeb – an eight-time world champion, in Formula1 – Schumacher and Alonso. It's a fact, that they're the best, but they themselves say, that nobody can compare to Ayrton Senna. He died before I was born, unfortunately.

### WHAT GIVES YOU THE GREATEST PLEASURE?

Passing through the turn as fast as possible and an individual point of view on how you can make it. Thinking you calculated everything faster than anybody else brings incomparable satisfaction.

14 წლის ასაკში პროფესიონალი მრბოლელის ლიცენზია ავიღე. აქამდე მოყვარულთა შორის წყვილთა რბოლაში ვასპარეზობდი. 2012 წლიდან კი საქართველოს ჩემპიონი ვარ.

ახლა უკვე „თეგეტა მოტორსის" სახელით გამოვდივარ, როგორც პროფესიონალი და უკვე ზურა ბეჟაშვილთან ერთად 2013 წლის სეზონშიც ვიასპარეზებ.

### სად სწავლობ და რა გეგმები გაქვს?

ვსწავლობ კომაროვში, მეთორმეტე კლასში ვარ. მამაჩემი სულ მასწავლიდა, რომ პირველ ადგილზეა სწავლა და მერე ყველაფერი დანარჩენი. ვსწავლობ, მხოლოდ იმისათვის, რომ მომავალში მქონდეს საკმარისი ფინანსები და ყველაფერი, რაც დამჭირდება, რომ ავტოსპორტში დავრჩე. წელს ვაბარებ „ი ეს ემ"-ში, კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და მათემატიკის ფაკულტეტზე.

### რა არის შენი მთავარი მიზანი?

მინდა, საქართველოს სახელით გამოვიდე WTCC-ზე. ეს არის მსოფლიო ჩემპიონატი წრიულ რბოლაში. გამარჯვებაზე არ მაქვს პრეტენზია, უბრალოდ, მინდა მონაწილეობა მივიღო და ჩვენი ქვეყანა წარვადგინო. კიდევ საკუთარი „პორშე" მინდა – ჩემი ოცნების ავტომობილია.




### HOW DO YOU PREPARE FOR THE RACES?

My father takes care of preparing the car, mainly. As of the moral part, there's nothing special aside from the fact that I can't sleep the night before the race. I'musually very nervous, but I hope it will slowly pass.

### WHAT DO YOU THINK ABOUT DURING THE RACE?

I plan out my route when I practice and I try not to change anything during the race. I'm concentrated solely on the race and force myself not to think of anything else.

შეუდარებელია სიამოვნება, რომელსაც იღებ იმაზე ფიქრით, რომ ყველაფერი სხვაზე სწრაფად გათვალე.

### საყვარელი მრბოლელი თუ გყავს?

ყველა სახეობაში ცალ-ცალკე ფავორიტები მყავს. რალიში – ბავშვობიდან მიყვარს მარკუს გრონჰოლმი – შვედი მრბოლელი (ახლა, უკვე რალი კროსზე გამოდის). კიდევ სებასტიენ ლოები – უკვე რვაგზის მსოფლიო ჩემპიონია. ფორმულა ერთში – შუმახერი, ალონსო. ფაქტია,რომ ესენი არიან საუკეთესოები, მაგრამ თვითონ ამბობენ, რომ აირტონ სენას ვერავინ შეედრება. სამწუხაროდ, ის ჩემ დაბადებამდე გარდაიცვალა.

### ყველაზე დიდ სიამოვნებას რა განიჭებს?

მოსახვევის მაქსიმალურად სწრაფად გავლა და ინდივიდუალური ხედვა – როგორ შეიძლება, გაიარო მოსახვევი. შეუდარებელია სიამოვნება, რომელსაც იღებ იმაზე ფიქრით, რომ ყველაფერი სხვაზე სწრაფად გათვალე.

### როგორ ემზადები რბოლებისთვის?

ავტომობილის მომზადებას, ძირითადად, მამაჩემი იღებს საკუთარ თავზე. მორალურად, გარდა იმისა, რომ შეჯიბრის წინა ღამეს არ მძინავს, განსაკუთრებული არაფერია. ძალიან ვნერვიულობ ხოლმე, მაგრამ ნელ-ნელა გამივლის, იმედია.

### რაზე ფიქრობ უშუალოდ რბოლის დროს?

ვარჯიშის დროს ვგეგმავ გზას და შეჯიბრზე ვცდილობ, რომ არაფერი შევცვალო. ამ დროს კონცენტრირებული ვარ მხოლოდ შეჯიბრზე და თავს  ვაიძულებ, მხოლოდ ამაზე ვიფიქრო.

TEGETA

CONSTRUCTION EQUIPMENT



JCB

## TEGETA MOTORS team succeeds at the off-road championship

David Sadzaglishvili, participating on behalf of Tegeta Motors won the off-road championship"Beeline Extreme 2012"held in Armenia.

The contest was in three categories (standard, monsters and extreme) with participants from Georgia, Armenia and Turkey. The Georgian contestants returned with one gold, one silver and two bronze medals from „Beeline Extreme 2012". The Tegeta Motors team won the second place in the "monsters" category.

## თეგეტა მოტორსის
### გუნდის წარმატება ოფროუდ ჩემპიონატზე

„თეგეტა მოტორსის" სახელით მოასპარეზე დავით საძაგლიშვილმა ამჯერად უკვე სომხეთში გამართულ ოფროუდ შეჯიბრში, „ბილაინ ექსტრიმ 2012-ში" გაიმარჯვა.

შეჯიბრი სულ სამ კატეგორიაში მიმდინარეობდა (სტანდარტული, მონსტრები, ექსტრიმი). პირველობისთვის საქართველოს, სომხეთისა და თურქეთის წარმომადგენლები იბრძოდნენ. „ბილაინ ექსტრიმ 2012"-დან ქართველი მოასპარეზეები ერთი ოქროს, ორი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მედლით დაბრუნდნენ. „თეგეტა მოტორსის" გუნდმა კი „მონსტრების" კატეგორიაში მეორე ადგილი მოიპოვა.



## TEGETA MOTORS event dedicated to „BAKURIANOBA"

The competition went on throughout the day – in 5 categories. Three of them were off-road categories – Standard, Monsters, Extreme; the other two categories were – Motocross and Snowmobile race.

Representatives of neighboring countries: Armenia, Azerbaijan and Turkey also participated in the competition. Two crews raced on behalf of Tegeta Motors. From them Paata Tsakadze and Davit Sadzaglishvili won the second place in the Standard category. Tegeta Motors employees Sandro Tskhadadze and Giorgi Bezhitashvili won the Extreme category.

There was a special show and an award ceremony held after the competition, Tegeta Motors awarded the winners with gift vouchers.

## თეგეტა მოტორსის
### მხარდაჭერით გაიმართა ბაკურიანობისადმი მიძღვნილი ღონისძიება

შეჯიბრი მიმდინარეობდა მთელი დღის განმავლობაში – 5 კატეგორიაში. აქედან სამი ოფროუდ კატეგორია გახლდათ – სტანდარტული, მონსტრები, ექსტრემი. დანარჩენი ორი კატეგორია იყო – შეჯიბრი თოვლმავალებით და მოტოკროსი.

მონაწილეობას იღებდნენ მეზობელი ქვეყნების: სომხეთის, აზერბაიჯანის და თურქეთის წარმომადგენლებიც. „თეგეტა მოტორსის" სახელით ტურნირში მონაწილეობა მიიღო ორმა ეკიპაჟმა. მათგან, სტანდარტულ კატეგორიაში, მეორე ადგილის მფლობელები გახდნენ პაატა წაქაძე და დავით საძაგლიშვილი. ექსტრიმის კატეგორიაში გამარჯვება მოიპოვეს „თეგეტა მოტორსის" თანამშრომლებმა: სანდრო ცხადაძემ და გიორგი ბეჟიტაშვილმა.

ღონისძიების დასასრულს გაიმართა სპეციალური შოუ და დაჯილდოების ცერემონიალი. „თეგეტა მოტორსმა" გამარჯვებულები სასაჩუქრე ვაუჩერებით დააჯილდოვა.




PHOTOS Tegeta Motors archive




MAZDA CENTER TBILISI

Tegeta Premium Vehicles Ltd

თბილისი 0131, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე – 12კმ. №5
ტელ.: 2244 - 911
ფაქსი: 2244 - 744
info@zoom-zoom.ge
www.mazda-tbilisi.ge
www.zoom-zoom.ge

ORIGINAL MADE IN JAPAN ORIGINAL

☎ 224 44 44
info@tegetamotors.ge
www.tegetamotors.ge

თეგეტა მოტორსი
TEGETA MOTORS
HOLDING COMPANY

დროა აირჩიო ხარისხი

## TEGETA MOTORS –

# winner of the sport festival

## თეგეტა მოტორსმა

## სპორტულ ფესტივალში გაიმარჯვა












There was a sport festival among organizations in Tbilisi organized by the City Hall and the Mass Sport Federation.

The festival took place from June 9 to 24. Tegeta Motors employees won most of the contests. „Rustavi 2", „Radio Imedi", Astra Park, „Lutecia", „Populi", „AkhaliKselebi", „Aversi", GPC and the World Sport newspaper also participated in the sport festival.

The tournament was held in different types of sports: chess, swimming, basketball, target shooting, billiard and carting.

The company representatives held the first place in billiard, chess, carting and swimming. The winners were awarded gold medals, certificates and prizes. Finally Tegeta Motors ended up being the winner of the entire festival.

**ქალაქის მერიისა** და მასობრივი სპორტის ფედერაციის ორგანიზებით თბილისში არსებულ ორგანიზაციებს შორის სპორტული ფესტივალი ჩატარდა.

ფესტივალი 9-დან 24 ივნისამდე გაგრძელდა. „თეგეტა მოტორსის" თანამშრომლებმა გამარჯვება სპორტის ყველაზე მეტ სახეობაში მოიპოვეს. „თეგეტა მოტორსის" გარდა, სპორტულ ფესტივალში მონაწილეობას „რუსთავი 2", „რადიო იმედი", „ასტრა პარკი", „ლუტეცია", „პოპული", „ახალი ქსელები", „ავერსი", „ჯი პი სი" და გაზეთი, „მსოფლიო სპორტიც" იღებდნენ.

ტურნირი სპორტის სხვადასხვა სახეობებში ჩატარდა: ჭადრაკში, ცურვაში, კალათბურთში, მიზანში სროლაში, ბილიარდსა და კარტინგში.

ბილიარდში, ჭადრაკში, კარტინგსა და ცურვაში კომპანიის თანამშრომლებმა პირველობა არავის დაუთმეს.

გამარჯვებულები ოქროს მედლებით, სიგელებითა და საჩუქრებით დაჯილდოვდნენ. საბოლოოდ კი ფესტივალის გამარჯვებული კომპანია „თეგეტა მოტორსი" გახდა.

PHOTOS Tegeta Motors archive


HYUNDAI
CONSTRUCTION EQUIPMENT
HYUNDAI
TEGETA
TRUCK & BUS



TEGETA MOTORS held a special internal competition in order to encourage its employees. THE TRANSCAUCASIAN DISTRIBUTION COMPANY [the official representative of Shell Lubricants] awarded three of the most successful SHELL brand consultants.

The places were distributed as follows:
1. Mikheil CHANTLADZE
2. Levan JASHI
3. Gela BANDZELADZE

MIKHEIL CHANTLADZE was awarded a trip to EGYPT. The consultants on the second and third places received prizes co-branded by SHELL and FERRARI.

თანამშრომლების წახალისების მიზნით „თეგეტა მოტორსში“ სპეციალური შიდა კონკურსი მოეწყო. ტრანსკავკასიურმა სადისტრიბუციო კომპანიამ (Shell Lubricants – ოფიციალური წარმომადგენელი) „შელის“ ბრენდის სამი ყველაზე წარმატებული კონსულტანტი დააჯილდოვა.

ადგილები შემდეგნაირად გადანაწილდა:
1. მიხეილ ჩანტლაძე
2. ლევან ჯაში
3. გელა ბანძელაძე

მიხეილ ჩანტლაძეს საჩუქრად გადაეცა საგზური ეგვიპტეში. მეორე და მესამე ადგილზე გასული კონსულტანტები კი „შელისა“ და „ფერარის“ კო-ბრენდირებული საჩუქრებით დაჯილდოვდნენ.



## MIKHEIL CHANTLADZE

კომპანიის სახელი კორეულად თანამედროვეობას, თანადროულობას ნიშნავს. „ჰიუნდაი", როგორც მცირე სამშენებლო კომპანია, 1947 წელს ჩამოყალიბდა. კომპანიის არეალი გაიზარდა, გაიზარდა მისი წარმოებული პროდუქტების სიაც. მისი სამშენებლო ტექნიკის მწარმოებლად ჩამოყალიბება მოგვიანებით, 1989 წლის სექტემბერში მოხდა. მანამდე კომპანიამ მრავალი საფეხური გაიარა. დღესდღეობით, ის ფლობს შვილობილ კომპანიებსა და საკუთარ ფილიალებს მთელ მსოფლიოში. კომპანია ისწრაფვის, გახდეს მსოფლიო ლიდერი სამშენებლო ტექნიკის წარმოებაში.

PHOTO Hyundai

# of HYUNDAI tion machinery







# JOINT SEMINAR OF SHELL AND TEGETA MOTORS IN SAIRME

## Shell-ისა და თეგეტა მოტორსის ერთობლივი სემინარი საირმეში

Tegeta Motors and its subsidiary – the Transcaucasian Distributing Company hosted a seminar and a presentation of a popular brand – Shell. The event was held for the corporative clients and presented by the special guests from Shell's global office.

During the three day long event customers were able to get to know Shell as a company and its work, advantages and technological achievements. They received information about Shell oils and lubricants. One of the main goals of Tegeta Motors was to extend the relationships with strategic partners.

**კურორტ საირმეში** „თეგეტა მოტორსმა" და მისმა შვილობილმა კომპანიამ, „ტრანსკავკასიურმა სადისტრიბუციო კომპანიამ", ცნობილი ბრენდის, Shell-ის პრეზენტაციას და სემინარს უმასპინძლეს. ღონისძიება კომპანიის კორპორატიული კლიენტებისთვის მოეწყო და მას სპეციალურად მოწვეული სტუმრები უძღვებოდნენ Shell-ის გლობალური ოფისიდან.

სამდღიანი ღონისძიების ფარგლებში სტუმრები უკეთ გაეცნნენ Shell-ს, როგორც კომპანიას, მის საქმიანობას, უპირატესობებს და ტექნოლოგიურ მიღწევებს. მიიღეს ინფორმაცია ბრენდის პრემიალური საცხებ-საპოხი მასალების შესახებ. „თეგეტა მოტორსის" ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო ურთიერთობების გაღრმავება სტრატეგიულ პარტნიორებთან.




Heads of up to 70 big companies attended the training. Such events and informal environments help establish strong relationships between companies.

During the meetings guests were also able to see the sights of the Sairme resort.

Now briefly about Shell:

The history of this brand starts over a 100 years ago and today it is leading among world's oil manufacturers. The portfolio of Shell oil and lubricant products unites – Shell Helix, Shell Rimula, Shell Tellus... The leading research centers of the company are located in Germany, Japan, Great Britain and USA.

For more than 50 years Shell is the favorite of Ferrari stable. In 1947, when the first Ferrari left the gates of the factory, it was protected with Shell lubricants. Shell is an immutable partner of Ferrari during the Formula 1 as well.

Tegeta Motors is the exclusive dealer of Shell in Georgia.

რაც შეეხება უშუალოდ ტრენინგს, მას 70-მდე მსხვილი კომპანიის ხელმძღვანელი ესწრებოდა. მოგეხსენებათ, ასეთი ტიპის ღონისძიებები, არაფორმალური გარემო, ხელს უწყობს მჭიდრო ურთიერთობების დამყარებას კომპანიებს შორის.

შეხვედრების განმავლობაში სტუმრებს საშუალება მიეცათ, გაცნობოდნენ საირმის ღირსშესანიშნაობებს.

ახლა კი მოკლედ მოგითხრობთ Shell-ის შესახებ.

ბრენდის ისტორია უკვე 100 წელზე მეტს ითვლის და დღეს ის მსოფლიო ნავთობწარმოების ლიდერია. „შელის" საცხებ-საპოხი მასალების პორტფოლიო აერთიანებს რამდენიმე პროდუქტს – Shell Helix, Shell Rimula, Shell Gadus, Shell Tellus... კომპანიის წამყვანი კვლევითი ცენტრები განთავსებულია გერმანიაში, იაპონიაში, დიდ ბრიტანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში.

50 წელზე მეტია, „შელი" Ferrari-ს საჯინიბოს რჩეულია. 1947 წელს, როცა მარანელოს ფერარის ქარხნის კარიბჭე პირველმა ფერარიმ დატოვა, ის დაცული იყო „შელის" ზეთებით. Ferrari-ს უცვლელი პარტნიორია ფორმულა 1-ს რბოლების დროსაც.

შეგახსენებთ, რომ „თეგეტა მოტორსი" „Shell"-ის ექსკლუზიურ დისტრიბუტორია საქართველოში.

PHOTOS Tegeta Motors archive

# TEGETA MOTORS hosted a training by BOSCH





**თეგეტა მოტორსმა**
**ბოშის** ტრენინგს უმასპინძლა

**Tegeta Motors head office hosted a training initiated by the largest German company Bosch on the subject: „Bosch auto part assortment".**

The goal of the training was to extend the knowledge about Bosch products, increase staff professionalism and integrate the newest technologies with the working process of the company. A lot of interesting information was exchanged during the event, different experiences and achievements were shared and new ideas were generated. The program covered the following important issues regarding cars and trucks:

- Running gear;
- Sparking plugs;
- Ferro spirals;
- Sensors;
- Seatbelts;
- Fuel, oil and air filters;
- Belt gears and generators;
- Petrol and diesel engines;
- Lighting systems;
- Braking systems (brake shoe, brake backing plate, hydraulic booster unit and others.);
- Batteries;
- Windshield wipers.

This large-scale training was attended by Tegeta Motors' staff, marketing partners of the company and the representatives of Bosch from the entire Caucasian region. Tegeta Motors often initiates such events, thet help the company in creating the highest standard for its service and introduce the new culture of auto service in Georgia.

Bosch offers its partnering companies the opportunity to arrange such trainings several times a year. Working with such strategic partners is very important for Tegeta Motors.



**თეგეტა მოტორსის** სათაო ოფისში გაიმართა უმსხვილესი გერმანული კომპანიის, Bosch-ის მიერ ინიცირებული ტრენინგი, თემაზე: Bosch-ის ავტოსათადარიგო ნაწილების ასორტიმენტი.

ტრენინგის მიზანი გახლდათ „ბოშის" პროდუქციის შესახებ ცოდნის გაღრმავება, თანამშრომელთა პროფესიონალიზმის ზრდა, უახლეს ტექნოლოგიებთან უკეთ გაცნობა და მათი ინტეგრაცია კომპანიის სამუშაო პროცესებთან. ღონისძიების ფარგლებში მოხდა უამრავი საინტერესო ინფორმაციის გაცვლა, განსხვავებული გამოცდილებისა და მიღწევების გაზიარება და ახალი იდეების გენერირება. პროგრამა მსუბუქი და სატვირთო ავტომობილებისთვის ისეთი აქტუალური საკითხებით იყო დაკომპლექტებული, როგორიც არის:

- სავალი ნაწილი
- ანთების სანთლები
- ანთების სპირალები
- სენსორები
- ღვედები
- საწვავის, ჰაერის და სალონის ფილტრები
- ამძრავი ღვედები და გენერატორები
- ბენზინისა და დიზელის მფრქვევანები
- ანთების სისტემები
- სამუხრუჭე სისტემები (ხუნდი, დისკი, ჰიდროაგრეგატორი და სხვა)
- აკუმულატორები
- მინის მწმენდები




ეს გახლდათ საკმაოდ მასშტაბური ტრენინგი, რომელსაც ესწრებოდნენ „თეგეტა მოტორსის" თანამშრომლები, გაყიდვებისა და სერვისის მიმართულებებიდან; კომპანიის სავაჭრო პარტნიორები და Bosch-ის წარმომადგენლები, მთელი ამიერკავკასიის მასშტაბით. ხშირად არის მსგავსი ღონისძიებების ინიციატორი, რაც კომპანიას ეხმარება, შექმნას მომსახურების უმაღლესი სტანდარტი და დანერგოს ავტოსერვისის ახალი კულტურა საქართველოში.

პარტნიორ კომპანიებს მსგავსი ტიპის ტრენინგების მოწყობის საშუალებას კომპანია „ბოში" წლის განმავლობაში რამდენჯერმე აძლევს. „თეგეტა მოტორსისთვის" მნიშვნელოვანია ასეთ სტრატეგიულ პარტნიორთან თანამშრომლობა.

PHOTO Tegeta Motors archive



# 8 winner students

„Begin your career with success" is the slogan of the student project, the awarding ceremony of which was held on August 9 at the Tegeta Motors open terrace.

The favorites of the company and the final winners of the project were announced at the event. Tegeta Motors surprised the students and employed 8 winners of the contest instead of 5. The finalists were awarded by Giorgi Mshvildadze the General Director of Tegeta Motors. These students did a two-month paid internship at different departments of Tegeta Motors. 6 of them have been employed for the

# 8 გამარჯვებული სტუდენტი

**„დაიწყე კარიერა წარმატებით"** – ასე ჟღერს სტუდენტური პროექტის სახელი, რომლის დასკვნითი ნაწილიც - დაჯილდოების ცერემონიალი – 9 აგვისტოს, კომპანია ,,თეგეტა მოტორსის" ღია ვერანდაზე გაიმართა.

ღონისძიებაზე გამოვლინდა, ვინ გახდა კომპანიის რჩეული და პროექტის საბოლოო გამარჯვებული. ,,თეგეტა მოტორსმა" პატარა სიურპრიზი მოუწყო სტუდენტებს და 5-ს ნაცვლად, კონკურსის 8 გამარჯვებული დაასაქმა. ფინალისტები ჰოლდინგის გენერალურმა დირექტორმა, გიორგი მშვილდაძემ, დააჯილდოვა. გამარჯვებულმა სტუდენტებმა გაიარეს ორთვიანი ანაზღაურებადი სტაჟირება ,,თეგეტა მოტორსის" სხვადასხვა დეპარტამენტებში.



strategic development projects thus joining one of the leading teams on the market. Winners of the blogger contest „Auto Sport and I" were also announced at the ceremony, they were sent to Batumi to attend the Bridgestone Black Sea Cup grand event.

The evening was rather enjoyable and entertaining, students were able to get to know each other and share their impressions about the project with the company management. After the awarding ceremony the winners cut the cake in a festive manner. A Jazz band was playing at the event and the guests were served cocktails by a special guest bartender.

მათგან 6 გრძელვადიანად დასაქმდა კომპანიის სტრატეგიული განვითარების პროექტებში და და შეურთდა ერთ-ერთ მოწინავე გუნდს. ღონისძიებაზე ასევე გამოვლინდნენ ბლოგერების კონკურსის – „მე და ავტოსპორტი" – გამარჯვებულები. ფინალისტები ბათუმში, „ბრიჯსტოუნის შავი ზღვის თასის" გრანდიოზულ ღონისძიებაზე გაემგზავრნენ.

საღამო საკმაოდ სასიამოვნო და სახალისო გამოვიდა. სტუდენტებმა უკეთ გაიცნეს ერთმანეთი და პროექტის მსვლელობისას მიღებული შთაბეჭდილებები გაუზიარეს კომპანიის მენეჯმენტის გუნდს. დაჯილდოების ცერემონიალის შემდეგ, გამარჯვებულმა სტუდენტებმა საზეიმო ვითარებაში გაჭრეს ტორტი. საღამოს მუსიკალურად აფორმებდა ჯაზბენდი, ხოლო სტუმრებს კოქტეილებით უმასპინძლდებოდა სპეციალურად მოწვეული ბარმენი.

პროექტში გამარჯვებული სტუნდენტები რამდენიმე ეტაპის მიხედვით გამოვლინდნენ: პირველი ეტაპი გულისხმობდა საპროექტო დავალების შესრულებას, შემდეგი ეტაპები კი

Winners of the project were chosen according to several stages: the first stage implied designing the project; the following stages were focused on project's detailed processing and individual interviews with the company management.

During the month long project, students had the opportunity to learn

პროექტების დეტალურ დამუშავებასა და კომპანიის მენეჯმენტთან ინდივიდუალურ გასაუბრებებს დაეთმო.

ერთთვიანი პროექტის მანძილზე სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ, სიღრმისეულად შეესწავლათ კომპანიის მუშაობის სპეციფიკა, გამოევლინათ საკუთარი ნიჭი, ცოდნა, უნარები და შრომისმოყვარეობა, ახალი იდეები.

კონკურსს, პირველივე დღიდან, მოჰყვა საზოგადოების დიდი ინტერესი. მეორე ეტაპზე კი სხვადასხვა უნივერსიტეტის ასობით სტუდენტს შორის შერჩეული











about the work specifics of the company, demonstrate their skills, knowledge, hard work and new ideas.

The society expressed great interest in the project from day one. In the second stage of the contest an open day and a meeting with the company leaders was arranged at the Tegeta Motors head office for the authors of the best projects, chosen from the hundreds of students. They were given a chance to see the work specifics of the company and share the experience of many years of successful development.

## ასობით სტუდენტს შორის შერჩეული საუკეთესო პროექტების ავტორებისთვის „თეგეტა მოტორსის“ სათაო ოფისში მოეწყო ღია კარის დღე

საუკეთესო პროექტების ავტორებისთვის „თეგეტა მოტორსის“ სათაო ოფისში მოეწყო ღია კარის დღე და შეხვედრა კომპანიის მესვეურებთან, სადაც ახალგაზრდებს მიეცათ საშუალება, უკეთ გაცნობოდნენ ჰოლდინგის საქმიანობის სპეციფიკას და გაეზიარებინათ მრავალწლიანი წარმატებული განვითარების გამოცდილება.

PHOTOS Tegeta Motors archive


TOOLS FOR CHAMPION
USAG
☎ 224 44 44
info@tegetamotors.ge
www.tegetamotors.ge
თეგეტა მოტორსი
TEGETA MOTORS
HOLDING COMPANY
დროა აირჩიო ხარისხი

FORMULA 1 hosts the GRAND PRIX CHAMPIONSHIP annually. The championship serves two purposes: announcing the best motor racer and the best auto constructor. The GRAND PRIX has to be held at a special circuit. The first GRAND PRIX world championship was held in England on the SILVERSTONE circuit, in 1950.

## ფორმულა 1-ს ცნობილი ავტოდრომები

ფორმულა 1 ყოველწლიურად ატარებს „გრანდ პრიქსის" ჩემპიონატს. ჩემპიონატი ორ მიზანს ემსახურება: საუკეთესო ავტომრბოლელისა და ავტოკონსტრუქტორის გამოვლენას. „გრადნ პრიქსის" ჩასატარებლად სპეციალური ავტოდრომია საჭირო, „წრებრუნვებიანი" გზა. პირველი მსოფლიო „გრადნ პრიქსის" ჩემპიონატი ინგლისში, სილვერსტოუნის ავტოდრომზე ჩატარდა, 1950 წელს.

# Famous circuits of For

### SILVERSTONE CIRCUIT

The Silverstone Circuit is located in Great Britain. It hosted the first British Grand Prix in 1948 and the first Grand Prix world championship in 1950. This circuit is a historic place which is why the annual Silverstone Classic is held there. Up to 15 different competitions and meetings are held on Silverstone circuit. Its length is 5.901 km and it has a total of 18 turns. In 2010 Fernando Alonso set the lap record of 1:30:874. The Grand Prix championship was held 46 times on the Silverstone circuit. The race always goes clockwise.







Fernando Alonso/ფერნანდო ალონსო

### სილვერსტოუნის ავტოდრომი

„სილვერსტოუნის ავტოდრომი" ბრიტანეთში მდებარეობს. აქ პირველად 1948 წელს ჩატარდა ბრიტანეთის „გრანდ პრიქსი", ხოლო 1950 წელს – მსოფლიო „გრანდ პრიქსი". ავტოდრომი ერთ-ერთი ისტორიული ადგილია, ამიტომ აქ ყოველწლიურად იმართება „სილვერსტოუნ კლასიკის" შეხვედრა. ავტოდრომზე 15-მდე სხვადასხვა სახის შეჯიბრი და შეხვედრა იმართება. მისი საერთო სიგრძე 5.901 კილომეტრია, 18 მოსახვევი აქვს. 2010 წელს მთლიანი გზის გავლას ფერნანდო ალონსომ, ფერარის ავტომრბოლელმა, მინიმალური დრო – 1:30:874 მოანდომა. „გრანდ პრიქსის" ჩემპიონატი „სილვერსტოუნის" ტრეკზე 46-ჯერ ჩატარდა. ტრეკზე მოძრაობა საათის ისრის მიმართულებითაა.



# mula 1






## MONACO CIRCUIT

The Monaco circuit is located in the streets of Monte Carlo. Once a year, the town's population is waiting for the Grand Prix championship. The circuit is 3.340 km long and has 19 turns. The lap record here is 1 minute and 14 seconds and it belongs to world's most famous motor racer Michael Schumacher.



## მონაკოს ავტოდრომი

მონაკოს ავტოდრომი მონტე კარლოს ქუჩებშია განლაგებული. წელიწადში ერთხელ ქალაქის მოსახლეობა „გრანდ პრიქსის" ჩემპიონატს ელოდება. ტრეკის სიგრძე 3.340 კილომეტრია და 19 მოსახვევი აქვს. მთლიანი დისტანციის დაფარვა 1 წუთსა და 14 წამში მოახერხა მსოფლიოში ყველაზე ცნობილმა ავტომრბოლელმა, მიხაელ შუმახერმა.








## PESCARA CIRCUIT

Pescara circuit is located in Italy. Its length is approximately 26 km. The track goes through the villages and is very narrow. According to critics it is the most dangerous circuit in the history of Grand Prix. Because of that the championship was only held there once. The lap record of this track is 9 minutes and 44 seconds.

## პესკარას ავტოდრომი

პესკარას ავტოდრომი იტალიაში მდებარეობს. მისი საერთო სიგრძე დაახლოებით 26 კილომეტრია. ტრეკი სოფლებს შორის გადის და ძალიან ვიწროა. კრიტიკოსების ცნობით, „გრადნ პრიქსის" ისტორიაში ყველაზე სახიფათო ავტოდრომია, ამიტომაც, აქ ჩემპიონატი მხოლოდ ერთხელ ჩატარდა. ტრეკის გავლის მინიმალური დრო 9 წუთი და 44 წამია.

PHOTOS www.formula1.com

## MONZA CIRCUIT

There's a racing circuit in a town named Monza, in Italy, North of Milan. This is the place where the Grand Prix world championship was held 62 times. Its length is 5.793 km and it has 11 turns. They say this track has the longest straight route and the most unpredictable turns. This circuit also holds one of the first places with unfortunate accidents. Throughout these years 52 motor racers and 35 viewers have died here.






## მონცას ავტოდრომი

მილანის ჩრდილოეთით, იტალიის ქალაქ მონცაში სარბოლო ავტოდრომია. სწორედ აქ გაიმართა მსოფლიო „გრანდ პრიქსის" ჩემპიონატი სამოცდაორჯერ. საერთო სიგრძე 5.793 კილომეტრია, აქვს თერთმეტი მოსახვევი. როგორც ამბობენ, ამ ტრეკზე ყველაზე გრძელი სწორი გზა და სწრაფი, მოულოდნელი მოსახვევებია. ავტოდრომი უბედური შემთხვევების მაჩვენებლითაც ერთ-ერთი პირველია, წლების მანძილზე, მან 52 ავტომრბოლელისა და 35 მაყურებლის სიცოცხლე შეიწირა.



## AVUS CIRCUIT

AVUS circuit is located in the western district of Berlin. It has hosted the Grand Prix championship only once. If you see the graphic image of the circuit you will be surprised by how narrow it is, plus it only has 4 turns that means that most of the route is straight and easy. Its length is 8.300 km and its lap record is 2 minutes and 4 seconds, set by one of the British motor racers.




## ავუსის ავტოდრომი

ბერლინის დასავლეთ გარეუბანში „ავუსის" ტრეკია, სადაც „გრანდ პრიქსის" ჩემპიონატი მხოლოდ ერთხელ ჩატარდა. ავტოდრომის გრაფიკული გამოსახულება რომ ნახოთ, გაგიკვირდებათ, იმდენად ვიწროა და თან, მხოლოდ ოთხი მოსახვევი აქვს. რაც იმას ნიშნავს, რომ ძირითადი გზა სწორი და ნაკლებსირთულიანია. მთლიანი სიგრძე 8.300 კილომეტრია და მის დაფარვას 2 წუთი და 4 წამი მოანდომა ერთმა ბრიტანელმა ავტომრბოლელმა.

## TEGETA MOTORS is the supporter and winner of the











# MOTOR RALLY for PEOPLE in WHEELCHAIRS



A motor rally was held on Kostava Avenue on May 20 – with people in wheelchairs, professional motor racers and their friends participating all with the support of the Handicapped Sports Coordination Board, the Movement for Available Environment and Tbilisi Municipality.

Teams of various companies took part in this race. Each team included professional racers, famous faces and people with limited abilities. The Tegeta Motors team was the winner of the race. Naniko Khazaradze, Dato Meskhishvili, Nika Arabidze, Giorgi Sukhitashvili, Vasil Pkhakadze and Giorgi Khipshidze were participating in this motor rally together with professional racers Zura Bezhanishvili, Dato Nebieridze and Goga Gelashvili.

The company awarded all participants. The winning team was awarded with a special prize. The motor rally for people in wheelchairs was held in the region of Transcaucasia for the first time.

Involving individuals with disabilities in sports and cultural activities is one of the most effective ways for their social integration. This is why Tegeta Motors actively supports such events and activities.

## „თეგეტა მოტორსი" ეტლით მოსარგებლე პირებისთვის გამართული ავტორალის მხარდამჭერი და გამარჯვებულია

**შეზღუდული** შესაძლებლობის მქონე პირთა სპორტის საკოორდინაციო საბჭოს, ორგანიზაცია „მოძრაობა ხელმისაწვდომი გარემოსათვისის" და ქალაქის მერიის მხარდაჭერით, 20 მაისს, თბილისში, კოსტავას გამზირზე, გაიმართა ავტორალი - ეტლით მოსარგებლე პირების, პროფესიონალი ავტომრბოლელებისა და მათი მეგობრების მონაწილეობით.

ავტორბოლაში მონაწილეობდნენ სხვადასხვა კომპანიის გუნდები. თითოეული დაკომპლექტებული იყო პროფესიონალი ავტომრბოლელით, ცნობილი სახეებით და უნარშეზღუდული პირებით. საბოლოო გამარჯვება „თეგეტა მოტორსის" გუნდმა მოიპოვა. რალიში მონაწილეობას იღებდნენ: ნანიკო ხაზარაძე, დათო მესხიშვილი, ნიკა არაბიძე, გიორგი სუხიტაშვილი, ვასილ ფხაკაძე, გიორგი ყიფშიძე. პროფესიონალი ავტომბროლელები: ზურა ბეჟაშვილი, დათო ნებიერიძე, გოგა გელაშვილი.

კომპანიამ ყველა მონაწილეს საჩუქრები გადასცა. სპეციალური პრიზებით დაჯილდოვდა გამარჯვებული გუნდიც. უნდა აღინიშნოს, რომ ავტორალი, ეტლით მოსარგებლე პირების მონაწილეობით, ამიერკავკასიის რეგიონში პირველად გაიმართა.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციისათვის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური გზა მათი სპორტულ-კულტურულ ღონისძიებებში ჩართვაა, სწორედ ამიტომ, „თეგეტა მოტორსი" მხარს უჭერს მსგავსი ტიპის აქციებს.






PHOTOS Tegeta Motors archive

# TEGETA MOTORS employees gathered to help the **TBILISI HOUSE** for the **ELDERLY**

„The ancient Christians would celebrate Easter by doing good deeds, being merciful and charitable. Ordinary Christians would help the poor. They would give sanctified food to the poor on the Easter day and make them a part of this great celebration…"



# „თეგეტა მოტორსის" თანამშრომლები **თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატის** დასახმარებლად გაერთიანდნენ

„ძველი ქრისტიანები აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს განამშვენებდნენ ღვთივსათნო საქმეებით, მოწყალებითა და ქველმოქმედებით. უბრალო ქრისტიანები ამ დღეებში შეეწეოდნენ ღატაკებსა და უპოვართ. აღდგომის დღეს ნაკურთხ საჭმელს ღარიბებს ურიგებდნენ და ამით მათ ბრწყინვალე დღესასწაულის მონაწილეთ ხდიდნენ…"

**TEGETA MOTORS** and its employees participated in a charity event for the Easter celebration and transferred 2600 GEL to the Tbilisi House for the Elderly, where 113 elderly people reside.

Social responsibility and charity are an important part of the activities of the Holding and sponsorship is also a rather meaningful matter. It should be noted that it were the Tegeta Motors employees who initiated to participate in the Easter holiday greetings and the charity project. They supported the TV-marathon organized by the State Care Agency aired live on "Imedi" Television called "Do not abandon them". The disabled under the Agency care, the elderly and homeless children participated in the marathon along Georgian singers and theatre and cinema stars who expressed their support.

The contribution made by the Tegeta Motors employees was used for the improvement of the living conditions for the people living at the Tbilisi House for the elderly.

**კომპანია** „თეგეტა მოტორსი" და მისი თანამშრომლები, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით, ერთიანი ქველმოქმედების მონაწილენი გახდნენ და თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატს, სადაც 113 ხანდაზმული ცხოვრობს, 2600 ლარი გადაურიცხეს.

ჰოლდინგის საქმიანობაში მნიშვნელოვანი როლი აქვს სოციალურ პასუხისმგებლობასა და ქველმოქმედებას, ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება სპონსორობას. აღსანიშნავია, რომ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის მილოცვისა და საქველმოქმედო პროექტში მონაწილეობის სურვილი ამჯერად სწორედ „თეგეტა მოტორსის" თანამშრომლებმა გამოთქვეს. მათ მხარი დაუჭირეს „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს" ორგანიზებით, ტელეკომპანია იმედის პირდაპირ ეთერში გამართულ, გრანდიოზულ ტელემარათონს, სახელწოდებით „ნუ დატოვებ მარტო". ტელემარათონში მონაწილეობას იღებდნენ სააგენტოს მზრუნველობის ქვეშ მყოფი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, ხანდაზმულები და მზრუნველობამოკლებული ბავშვები. ასევე, ქართული ესტრადის, თეატრისა და კინოს ვარსკვლავები.

„თეგეტა მოტორსის" თანამშრომლების მიერ გაღებული თანხა თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატში მცხოვრები მოხუცების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას მოხმარდა.



The oldest wheel
უძველესი ბორბალი

# HISTORY of a VEHICLE

If we make up a list of genius inventions in the history of mankind, the wheel will no doubt be in the top three. The civilization would not have developed the way it did and people would not have achieved what they have without this invention, so simple and unimportant at first sight. This is no exaggeration. If not the wheel cars, so important to contemporary life, would not have existed. If the name of the inventor of the first circled item and the date of its finding went missing in the past, the history of vehicles is so clear we could write a synopsis out of it. Reasoned news and data written out chronologically about means of transport moving on its own are available from the fifteenth century. The idea of a „self-propelled carriage" and the first drafts belong to Leonardo Da Vinci. It's a well-known fact that in 1515 he presented a project of the first vehicle for military purposes to the government. The experts of the Florence Museum of History and Science studied the drafts in 2004 and proved the righteousness of the idea. Leonardo Da Vinci's invention was

# ავტომობილის ისტორია

**კაცობრიობის ისტორიაში** გენიალური გამოგონებების ნუსხა რომ შევადგინოთ, ბორბალი, უდავოდ, პირველ სამეულში მოხვდება. ამ მარტივი და, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო გამოგონების გარეშე ცივილიზაცია ვერ განვითარდებოდა ისე, როგორც განვითარდა და ადამიანებიც ვერ მიაღწევდნენ იმდენს, რამდენსაც მიაღწიეს. ეს გაზვიადება სულაც არ არის. ბორბალი რომ არა, ცხადია, ვერ იარსებებდა თანამედროვე ცხოვრებისათვის ისეთი შეუცვლელი და საჭირო რამ, როგორიც ავტომობილია. თუ ბორბლის გამომგონებელი და მისი გამოგონების თარიღი უხსოვარ წარსულში ჩაიკარგა და დღეს არავინ იცის, ვინ და როდის შექმნა პირველი მომრგვალებული ფორმის შეუცვლელი საგანი, ავტომობილების ისტორიიდან ლამის სინოფსისი შეგვიძლია შევქმნათ. ქრონოლოგიურად გაწერილი, არგუმენტირებული ცნობები და მასალები, თავისთავად გადაადგილებადი სატრანსპორტო საშუალების შესახებ ჯერ კიდევ მეთხუთმეტე საუკუნიდან მოიპოვება. „თვითმავალი ეტლის" იდეა და პირველი ნახაზები ლეონარდო და ვინჩის ეკუთვნის. ცნობილია,







FERDINAND VERBIEST made a 65 cm toy-type equipment working on steam for the Chinese Emperor



The steam "car"
designed by VERBIEST in 1672
ფერდინანდ ვერბისტის
ორთქლზე მომუშავე მოწყობილობა



Ferdinand
VERBIEST
ფერდინანდ
ვერბისტი



# The idea of a „self-propelled carriage" and the first drafts belong to LEONARDO DA VINCI


Leonardo Da VINCI
ლეონარდო და ვინჩი


Gottlieb DAIMLER
გოტლიბ დაიმლერი


Wilhelm MAYBACH
ვილჰელმ მაიბახი


Karl BENZ
კარლ ბენცი

„walking" on springs (springs squeezed beforehand were supposed to bring the wheels in motion...). They couldn't use it for military purposes, but such carriages were successfully used in parades and other festive public performances;Then was the steam-engine car. According to car fans, the vehicle operating on steam cannot be considered a car, so we won't spend too much time on it, especially since the first steam aggregate was not even considered for transportation.

Ferdinand Verbiest, a Flemish Jesuit missionary in China is the author of the project. He made a 65cm toy-type equipment working on steam for the Chinese Emperor. This effective model, as it has already been noted, was not for transporting people, it didn't have a steering-wheel and its purpose was to surprise and inspire the viewers. The most important stage in the history of cars is linked to German gentlemen – Gottlieb Daimler, Wilhelm Maybach and Karl Benz. It was engineers and designers working under their leadership who invented the first engine cars, radiators, carburetors, fuel injectors and ABS brakes.

რომ მან 1515 წელს, მთავრობას სამხედრო მიზნებისათვის განკუთვნილი თვითმავალის პროექტი წარუდგინა. მისი ნახაზები 2004 წელს ფლორენციის ისტორიისა და მეცნიერების მუზეუმის ექსპერტებმა შეისწავლეს და იდეის სისწორე დაამტკიცეს. ლეონარდო და ვინჩის გამოგონება ზამბარების საშუალებით „დადიოდა". (ბორბლები წინასწარ შეკუმშულ ზამბარებს უნდა აემოძრავებინა...) სამხედრო სტრატეგიული მიზნებისთვის ვერ გამოიყენეს, მაგრამ ასეთი თვითმავალი ეტლები დიდი წარმატებითა და სიხარულით „იღებდნენ" მონაწილეობას აღლუმებსა და სახალხო-საზეიმო წარმოდგენებში. ამის შემდეგ ორთქლის მანქანის ჯერი მოდის. ავტომოყვარულების აზრით, ორთქლზე მომუშავე მოწყობილობა ავტომობილად არ შეიძლება, ჩაითვალოს, ამიტომ, დიდხანს მასზე არც ჩვენ შევჩერდებით, მით უფრო, რომ პირველი ორთქლის აგრეგატი არც იყო გათვლილი გადასაადგილებლად.

მისი ავტორი ფერდინანდ ვერბისტია, ჩინეთში იეზუიტთა მისიის ფლამანდრიელი წევრი. მან ჩინეთის იმპერატორისათვის ააგო ორთქლზე მომუშავე მოწყობილობა, რომელიც სათამაშოს ტიპის იყო და მისი სიგრძე არ აღემატებოდა 65 სანტიმეტრს. ეს ეფექტური მაკეტი, როგორც უკვე აღინიშნა, არ იყო განკუთვნილი ადამიანთა გადასაადგილებლად, მას არ გააჩნდა საჭე და მისი დანიშნულებაც მნახველის გაოგნება და აღფრთოვანება უფრო იყო. ავტომობილის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი ეტაპი გერმანელი ბატონების – გოტლიბ დაიმლერის, ვილჰელმ მაიბახის და კარლ ბენცის სახელებს უკავშირდება. სწორედ მათი ხელმძღვანელობით მომუშავე ინჟინრებსა და დიზაინერებს ეკუთვნით პირველი ძრავიანი მანქანების, რადიატორების, კარბურატორების, საწვავის შეფრქვევის და ABS მუხრუჭების გამოგონების პატივი.



# The pioneer – MERCEDES-BENZ

In 1885 a German engineer Karl Benz decided to put a single-cylinder internal combustion engine on a three-wheel frame. The cylinder volume was 1.5 liters. This „self-propelled carriage" could cover 16 kilometers an hour and at first this „boiling teapot" only „dared" to function in the workshop yard and streets nearby. Even there, the only recognition it received were ironic, scoffed smiles and the accompaniment of street dogs. Everything changed after Karl's wife

## პიონერი **მერსედეს-ბენცი**

**1885 წელს** გერმანელი ინჟინერი კარლ ბენცი გადაწყვეტს, ერთცილინდრიანი შიდა წვის ძრავის სამბორბლიან ძარაზე დადგმას. ცილინდრის მოცულობა 1,5 ლიტრი იყო. ამ „თვითმავალ ეტლს" საათში 16 კილომეტრის დაფარვა შეეძლო და პირველ ხანებში, ბენცის „მოთუხთუხე ჩაიდანი" მხოლოდ სახელოსნოს შიდა ეზოში და მიმდებარე ქუჩებში „ბედავდა" გასვლას. იქაც მთელი „აღიარება" გამვლელების დამცინავი, ირონიული ღიმილი და მოხეტიალე ძაღლების გაგულისებული აკომპანიმენტი იყო. ყველაფერი შეიცვალა მას შემდეგ, რაც საქმეში კარლის მეუღლე, ბერტა ჩაერთო.



Bertha got involved in the case. Any other wife would have been against her husband „fighting the windmills" and suggest that he gave up the stupidity, while Bertha found capital for Karl's business instead. Benz expanded production and made technical and functional adjustments to his creation. The society still considered his invention a funny toy and nobody thought anyone could be using this wonderful thing in everyday life. This went on until Frau Bertha took the matter again... One August day in 1888 Berta put the „self-propelled carriage" to work without her husband knowing and took her two sons to visit her mother in Pforzheim. The point of destination was 106 kilometers away. The resources of the „carriage" were clearly more than the aim required. This unusual and strong woman overcame all barriers with confidence and vigilance of a professional driver and unintentionally arranged a large-scale advertising campaign for her husband's production... Bertha told the priorities of the new transport with enthusiasm to everyone who came across curios on

## By the way, installing a gearbox in the car was also Bertha Benze's merit

her way... In short, the route to mother and back was a marketing success and Benz received doubled orders. By the way, installing a gearbox in the car was also Bertha Benz's merit. When the car had trouble going uphill she had to come down and push it by hand. Returning home Bertha rebuked her husband. Karl improved this flaw. And that was it. Bertha Benz didn't interfere with her husband's business since - she took care of children and passed away 15 years after Karl's death, in 1944 at the age of 95.

ნებისმიერი სხვა კეთილგონიერი ცოლი ახირებულ მეუღლეს „ქარის წისქვილებთან წინააღდეგ ბრძოლას" დაუშლიდა და სისულელეებისთვის თავის დანებებას ურჩევდა, ბერტამ კი ამის ნაცვლად, კარლს ბიზნესის გაფართოებისთვის კაპიტალი უშოვა. ბენცმა წარმოება გააფართოვა და თავისი „შვილობილები" ტექნიკურად და ფუნქციურად დახვეწა. საზოგადოება მის ქმნილებას მაინც სახალისო სათამაშოდ აღიქვამდა და ფიქრადაც არავის მოსდიოდა, რომ ვინმე ყოველდღიურ ცხოვრებაში შეძლებდა ამ სასწაულის გამოყენებას. ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ საქმეში კვლავ ფრაუ ბერტა არ ჩაერთო. 1888 წლის აგვისტოს ერთ მშვენიერ დღეს ბერტამ ქმრის დაუკითხავად სახელოსნოში მდგომი „თვითმავალი ეტლი" აამუშავა, მგზავრებად თავისი ორი ვაჟი იახლა და დედამისის მოსანახულებლად ქალაქ პარცჰაიმში გაემგზავრა. დანიშნულების ადგილს 106 კილომეტრი აშორებდა, „ეტლის" რესურსი, ცხადია, აღემატებოდა დასახულ მიზანს. ამ უცნურმა, ძლიერმა ქალმა კი ყველა დაბრკოლება პროფესიონალი მძღოლის შესაფერისი გამჭრიახობითა და თავდაჯერებულობით გადალახა და თავისდაუნებურად ფართომასშტაბიანი რეკლამაც გაუკეთა მეუღლის ნაწარმს... გზადაგზა ბერტა დიდი ენთუზიაზმით და შემართებით აცნობდა შეკრებილ მრავალრიცხოვან ცნობისმოყვარეებს გადაადგილების ახალი საშუალების უპირატესობებს... ერთი სიტყვით, მარშრუტი დედასთან და უკან მარკეტინგულად წარმატებული აღმოჩნდა და ბენცს შეკვეთები გაუორმაგდა. სხვათა შორის, ბერტა ბენცის დამსახურებაა ავტომობილზე გადაცემათა კოლოფის დამონტაჟებაც. როცა აღმართზე მანქანას ასვლა გაუჭირდებოდა, ქალი იძულებული ხდებოდა, ჩამოსულიყო და ხელით მისწოლოდა. შინ დაბრუნებულმა ბერტამ ქმარს უსაყვედურა. კარლმა გაასწორა ნაკლი. ეს იყო და ეს, ამის შემდეგ ბერტა ბენცი ქმრის ბიზნესში არ ჩარეულა, შვილებს ზრდიდა და კარლის გარდაცვალებიდან 15 წლის შემდეგ, 1944 წელს, 95 წლის ასაკში გარდაიცვალა.



Bertha Benz and her sons
ბერტა ბენცი და მისი შვილები







# TEGETA MOTORS HOS











PHOTOS Tegeta Motors archive







# TS

**ON JUNE 1** Tegeta Motors decided to arrange a grand event for the International Day for Protecting Children.

At the show room of the company head office the Disney World characters and animators made sure the little guests were on the best of their mood... The children from the orphanage „The Way to Future" were special guests at the event. The children of Tegeta Motors employees presented the homeless kids with gifts. McDonald's provided refreshments for the event.

The photo exhibition on the subject: „Cars through the eyes of a child" was also held here. The aim of the event was to celebrate the International Day for Protecting Children on June 1 and support the integration of homeless children into the society... At the end of the event, a car-shaped cake was cut in a festive manner.

## თეგეტა მოტორსი

## მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს მასპინძლობს

**1 ივნისს,** ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, კომპანია „თეგეტა მოტორსმა" გადაწყვიტა, გრანდიოზული ღონისძიება მოეწყო.

კომპანიის სათაო ოფისის „შოუ რუმში" პატარა სტუმრების სადღესასწაულო განწყობაზე ბავშვთა გასართობი ცენტრის, „დისნეის სამყაროს" ზღაპრის გმირებმა და ანიმატორებმა იზრუნეს... განსაკუთრებული მოწვევით, დღესასწაულს დაესწრნენ მზრუნველობამოკლებული ბავშვები, ბავშვთა სახლიდან – „მომავლის გზა". „თეგეტა მოტორსის" თანამშრომლების შვილებმა პატარებს საჩუქრები გადასცეს. ბავშვებს გაუმასპინძლდა „მაკდონალდსი".

აქვე მოეწყო ფოტოგამოფენა, თემაზე: „პატარა ბავშვის თვალით დანახული ავტომობილები". ღონისძიების მიზანი იყო ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღის, 1 ივნისის აღნიშვნა და მზრუნველობამოკლებული პატარების ინტეგრაციის ხელშეწყობა საზოგადოებაში... ღონისძიების დასასრულს, საზეიმო ვითარებაში გაიჭრა ავტომობილის ფორმის ტორტი.



# HOMELESS CHILDREN




NINO NADIBAIDZE/ნინო ნადიბაიძე
Radiator.blogspot.com – Nino & the City

# Life as a CAR

I don't remember when I first became interested in motorsports: if it was when my uncle told me I could enjoy driving slow, or when my father didn't let my mother watch soap operas because Formula1 was on.

I think it was more when I realized fast driving brings a different kind of satisfaction, I was 6 or 7 years old and since there already was a girl in the family, I decided I should have had interests of a boy. My uncle was a great car enthusiast, he always had many cars and he even dug a hole in the garage so that no one else would look in between the tires of his beloved automobiles (you understand, there was no Tegeta Motors back then). My entire childhood I wanted

# ცხოვრება, როგორც ავტორბოლა

**არ მახსოვს,** როდის დავინტერესდი პირველად ავტოსპორტით, მაშინ, როდესაც ბიძაჩემმა მითხრა: ავტომობილის მშვიდად ტარებითაც შეიძლება სიამოვნების მიღებაო, თუ როდესაც მამაჩემი ფორმულა 1-ს გამო დედაჩემს სერიალების ყურების საშუალებას არ აძლევდა.

მგონი, უფრო მაშინ, როდესაც გავიაზრე, რომ სწრაფად სიარულს რაღაც სხვა სიამოვნება მოაქვს. მაშინ 6-7 წლის ვიყავი და რადგან ოჯახში ერთი გოგო უკვე გვყავდა, გადავწყვიტე, რომ ინტერესები ბიჭის უნდა მქონოდა. ბიძაჩემი დიდი ავტომოყვარული იყო, ყოველთვის ბევრი ავტომობილი ჰყავდა და საკუთარ ფარეხში ორმოც კი გააკეთა, რომ მისი ნალოლიავები მანქანებისთვის ბორბლებს შორის უცხოს არავის შეეხედა (ხომ გესმით, მაშინ „თეგეტა მოტორსი" არ არსებობდა). მთელი ბავშვობა ვნატრობდი, მქონოდა ფარეხი, სადაც ამოვთხრიდი ორმოს,



# RACE



> With unusual hand movements the traffic controller gives me a sign that it’s time to start moving and I drive off

to have a garage where I would dig a hole, park my cars, go down in it and ...and I didn’t think what I would do down there.

Dad had a Zhiguli 05 (a Soviet VAZ model), there was always something wrong with it. It had engine volume of 1.1; I remember how when he was watching Formula1 he would get up, look out of the window to see his old Soviet car, throw a terrible look at it and sit back on the couch. I didn’t know what that feeling was, exactly, I didn’t understand why he would be jealous of the speed that could not have been seen on the screen but was always there on the panel. Now I understand; my Opel Corsa from the 1996 with its 1.4 engine doesn’t really give me great space for imagination.

Although sometimes when I plan to get to work early and my morning sleep

შევაყენებდი მანქანებს, ჩავძვრებოდი დაბლა და აი, დაბლა რას გავაკეთებდი, მაშინ არ ვფიქრობდი.

მამას ჟიგული 05 ჰყავდა, რომელიც სულ გაფუჭებული იყო და რომლის ძრავის მოცულობაც 1,1 იყო. მახსოვს ფორმულას რომ უყურებდა, ადგებოდა, ფანჯრიდან გადაიხედავდა, თავის ძველ საბჭოურ ავტომობილს საზარელ მზერას ესროდა და ისევ ჯდებოდა დივანზე. მაშინ ვერ ვხვდებოდი ზუსტად ამ გრძნობას, ვერ ვხვდებოდი, რატომ უნდა შეშურებოდა იმ სიჩქარის, რომელიც ეკრანზე არ ჩანდა, მაგრამ ტაბლოზე იწერებოდა. ახლა კი კარგად მესმის, ჩემი 96 წლიანი მანქანა, „ოპელ კორსა“ თავისი 1.4 უბრალო ძრავით ფანტაზიის დიდ ვერაფერ გასაქანს მაძლევს.

თუმცა ხანდახან, როდესაც სამსახურში ადრე მისვლას ვგეგმავ და დილის ძილი ჩემს გეგმებს მწარედ დასცინის, ფანტაზია მაინც თავისას შვრება. სასწრაფოდ ვიცვამ სარბოლო ფორმას, გავრბივარ ჩემი ბოლიდისკენ, ვირგებ მანქანას, ვტოვებ პიტ ლეინს, ვცდები შუქნიშანს და მივქრი, ჯერ საბურავების გასახურებელი გავლა მაქვს, ვგრძნობ, როგორ ცხელდება რეზინი და როგორ იზრდება მოჭიდება ასფალტთან, საათს ვუყურებ და ვრწმუნდები, რომ უკვე დროა, ჩავერთო რბოლაში.

მარეგულირებელი ხელების უცნაური მოძრაობით მანიშნებს, რომ დროა, დავიწყო მოძრაობა და მეც ადგილიდან ვწყდები, პირველი სიჩქარე, ვგრძნობ, რომ უკნიდან სხვა ბოლიდები უფრო სწრაფ სიჩქარეს კრეფენ. აი, რამდენიმემ გამასწრო კიდეც, თუმცა ვცვლი სიჩქარეს, მეორე, მესამე, მეოთხე, ვეწევი რამდენიმე მანქანას, 2-3-ს გავუსწარი კიდეც და კარგი მანძილითაც ჩამოვიტოვე უკან. ვგრძნობ, რომ მოსახვევში ვერავინ მაჯობებს და სტაბილურად შევდივარ, ვუხვევ და ისევ პირველი ვარ, თუმცა ვგრძნობ, რომ ჩემი გუნდის დახმარება მჭირდება, საბურავებს დასამატებელი აქვს და საწვავიც მითავდება, მე კი მეჩქარება, ფინიშის ხაზთან ღირსეულ დროს უნდა მივიდე. მალე ჩემს პიტ სტოპსაც დავინახავ და გადაწყვეტილი მაქვს, დავუკლო სიჩქარეს. აი. ისიც გამოჩნდა, გადავუხვიე, დამეხვივნენ, ერთი საწვავის ბაკს მივსებს, მეორე



really laughs at my plans, imagination still does its job – I put on my racing uniform, run to my Bolide, adjust the car, leave the pit lane, drive past the street light and rush away; I first warm the tires – I feel how the rubber gets hot and how the grip increases, I look at the watch and am now sure it's time to enter the race.

With unusual hand movements the traffic controller gives me a sign that it's time to start moving and I drive off: first gear – I feel other Bolides accelerating, there, several of them already drove past me, but I change my speed, the second, the third, the fourth gear, I approach several cars, I outdistanced two or three, I feel nobody can do better in the turn, I enter steadily, make the turn and I'm leading again, although I feel I need help from the team, the tire has to be fixed and I'm almost out of petrol, but I'm in a hurry, I have to reach the finish line in decent time, I soon see my pit stop and having decided to decrease my speed, I turn over, they approach me, one filling the tank, the other adding air to the tires, the third polishing the car and I'm ready to leave the pit stop and get back in the race in 5-6 seconds; I'm a little behind, but it's okay, I have some spare time and besides, others will be needing a pit stop too, which is when I will not only decrease the difference, but even get ahead of them.

And that's exactly how it happens – I left several racers behind, rushed from Agmashenebeli Avenue to Tamar Mepe Avenue, crossed it, made the first turn to the right, pushed the gas pedal so far I almost touched the ground and – a fast break, turned the engine off, removed the seatbelt, freed myself from everything, jumped out of the car, it's 10:00 a.m. sharp – which means I won and arrived at the finish line right when I planned to, I ran up the stairs with a winner's smile on my face, opened the door like only winners do and I'm waiting to receive a champagne bottle so big I can barely handle, so that I open it and start splashing it around...

Good morning, Nino – says the secretary.

მარეგულირებელი ხელების უცნაური მოძრაობით მანიშნებს, რომ დროა, დავიწყო მოძრაობა და მეც ადგილიდან ვწყდები, პირველი სიჩქარე, ვგრძნობ, რომ უკნიდან სხვა ბოლიდები უფრო სწრაფ სიჩქარეს კრეფენ. აი, რამდენიმემ გამისწრო კიდეც, თუმცა ვცვლი სიჩქარეს, მეორე, მესამე, მეოთხე, ვეწევი რამდენიმე მანქანას, 2-3-ს გავუსწარი კიდეც და კარგი მანძილითაც ჩამოვიტოვე უკან

საბურავებზე ჰაერს მიმატებს, მესამე მანქანას მიპრიალებს და 5-6 წამში უკვე მზად ვარ, დავტოვო პიტ სტოპი და გავაგრძელო რბოლა. ცოტა ჩამოვრჩი დანარჩენ მრბოლელებს, მაგრამ არაუშავს, დრო მაქვს რეზერვში და თან მალე მათაც დასჭირდებათ პიტ სტოპზე შესვლა. ამ დროს შევძლებ განსხვავების შემცირებას და მეტიც, წინ გაჭრასაც კი.

ასეც ხდება, ჩამოვიტოვე რამდენიმე მრბოლელი. აღმაშენებლის გამზირიდან გავაჭერი თამარ მეფის გამზირზე, გადავკვეთე, შევუხვიე მარჯვნივ, პირველივე შესახვევში, მივადგი გაზს ბოლომდე, თითქმის ასფალტს დავადგი ფეხი და სწრაფი ტორმუზი. გამოვრთე მანქანა, მოვიხსენი ღვედი, ყველაფრისგან გავითავისუფლე თავი, გადმოვხტი მანქანიდან, საათზე ზუსტად 10:00-ია, ეს იმას ნიშნავს, რომ გავიმარჯვე და ფინიშამდე ზუსტ დროს მივედი. ავირბინე კიბეები გამარჯვებულის ღიმილით, შევაღე კარი, ისე, როგორც მხოლოდ გამარჯვებულები აღებენ. ველოდები, როდის მომცემენ შამპანურის იმხელა ბოთლს, რომელსაც ძლივს დავძრავ, გავხსნი და წუწაობას დავიწყებ...

დილა მშვიდობის ნინო – მეუბნება მდივანი.

PHOTO www.porsche.com

# TopGear



Stig, Richard Hammond, James May and Jim Clarkson
სტიგი, რიჩარდ ჰემონდი, ჯეიმს მეი და ჯერემი კლარკსონი

## HISTORY

It could sometimes seem like the British know everything best, cars included. A television journal was founded in 1977, discussing cars and telling the news with minimum technical check-ups. It was unimaginable back then that at the end of the day this show would have 350 million fans and that they would have such a hard time saying goodbye to several important stars when it announced closure.

In 2001 when the show was over the peak of popularity and seemed as if it was counting its last days, several smart men at the BBC could not let it go. Which was not very surprising – it was a matter of cars. A bit of British humor, a tad more radicalism and speed added to the ingredients of the show ended up producing the new Top Gear with Jim Clarkson, Richard Hammond and James May hosting.

## RACING

What would happen if one of them chose one of the “super autos”, the second would take the airplane and the third – the train? This is the kind of contests that take place on this show and the main thing is not speed – but the distance covered. Thanks to the detailed shooting of the show and the technical resources of the

## ისტორია

ხანდახან, მართლაც შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ბრიტანელებმა ყველაფერი ყველაზე უკეთ იციან, მათ შორის მანქანებიც. 1977 წელს შეიქმნა ტელეჟურნალი, რომელიც, ჩვეულებრივ, ავტომობილებს განიხილავდა და მინიმალური ტექნიკური შემოწმებით სიახლეების შესახებ მოუთხრობდა საზოგადოებას. თუმცა, მაშინ წარმოუდგენელი

BBC, the feeling that we're really racing is very acute and realistic. We think they've just left the cameras on, recording how three friends are having fun. Although cameras usually leave real stories behind – each race is a separate story here, with its unique development, conflict and spontaneous finale. Never expect the same experience – they love radical steps, rough turns and extreme sensations here.

## QUALITY

If you still don't understand why the James Bond character was by all means British, look through the biographies of the show hosts. You will definitely be assured



A drag race between the Bugatti Veyron and Eurofighter Typhoon on Top Gear

that the combination of great intellect and a good car is the guarantee of being attractive and very successful – the hosts are either writers or journalists; James May has written several books and is the co-author of "The Daily Telegraph", he also hosts a culinary show. James Clarkson is the pioneer of the auto journalism; he's also the founder of several shows and the British auto journal. Richard Hammond's long-lasting career in media has covered all the fields from playwright to science. They say he's the biggest Porsche fan in the world. So once these writers take their glasses of, the world is at their feet. And there's another very interesting subject there – the Stig...

იყო, რომ, საბოლოოდ, ამ გადაცემას 350 მილიონამდე თაყვანისმცემელი ეყოლებოდა და რომ შოუს დამთავრებით რამდენიმე მნიშვნელოვან ვარსკვლავს საერთაშორისო მაყურებელი ასე რთულად გამოეთხოვებოდა.

2001 წელს, როდესაც გადაცემას პოპულარობის ზენიტი უკვე გადავლილი ჰქონდა და თითქოს ბოლო დღეებს ითვლიდა, BBC-ში მომუშავე რამდენიმე ჭკვიანმა მამაკაცმა ის ვერაფრით გაწირა. არც არის გასაკვირი, საქმე ხომ ავტომობილებს ეხებოდა. გადაცემას ცოტაოდენი ბრიტანული იუმორი, მეტი რადიკალიზმი და სიჩქარე დაემატა და მივიღეთ ახალი Top Gear, რომლის განახლებული ვარიანტიც ცნობილ ჯერემი კლარკსონს, რიჩარდ ჰემონდს და ჯეიმს მეის მიყავდათ.

## რბოლა

რა მოხდება, თუ ერთი „სუპერაუტობზე" დაჯდება, მეორე თვითმფრინავზე და მესამე თუნდაც მატარებელზე? სწორედ ასეთი შეჯიბრებები ეწყობა ამ გადაცემაში, და მთავარი აქ არა სისწრაფე – არამედ მანძილია, რომელსაც მანქანა გაივლის. გადაცემის დეტალური გადაღებებისა და BBC-ს ტექნიკური რესურსების წყალობით, შეგრძნება, რომ ნამდვილად ვდგავართ რბოლაზე – ძალიან მძაფრი და რეალურია. გვგონია, რომ კამერები ჩართული დარჩათ და უბრალოდ სამი მეგობარი ერთობა. თუმცა კამერებს, როგორც წესი, ნამდვილი ისტორიები უკან რჩება ხოლმე, აქ კი თითოეული რბოლა ცალკე ისტორიაა, საკუთარი განვითარებით, კონფლიქტითა და სპონტანური ფინალით. ერთსა და იმავე გამოცდილებას არასოდეს ელოდოთ, აქ რადიკალური ნაბიჯები, უხეში მოხვევა და ექსტრემალური შეგრძნებები უყვართ.

## ხარისხი

თუ ჯერ კიდევ არ გესმით, რატომ იყო ჯეიმს ბონდი მაინცდამაინც ბრიტანელი, შოუს წამყვანების ბიოგრაფიას გადახედეთ. შედეგად, ნამდვილად დარწმუნდებით, რომ დიდი ინტელექტისა და კარგი ავტომობილის კომბინაცია მიმზიდველობის ან დიდი წარმატებს გარანტია, წამყვანების უმეტესობა ხომ





















## CARS

The information you will never find in a catalogue and no commercial would ever tell you – stories and brand characteristics of cars, reaching the level of urban legends in this show. Everything here is styled in a smooth and a refined matter, let alone the great excitement in comparing two favorite brands and the detailed discussions of different characteristics. The show

მწერალი ან ჟურნალისტია. ჯეიმს მეი რამდენიმე წიგნისა და „დეილი ტელეგრაფის" ერთ-ერთი ავტორია, ამას გარდა, მას კულინარული შოუც მიჰყავს. ჯერემი კლარკსონი ავტოჟურნალისტიკის პიონერია, ის რამდენიმე შოუს და ბრიტანული ავტოჟურნალის დამფუძნებელია. რიჩარდ ჰამონდის გრძელვადიანი კარიერა მედიაში ყველა სფეროს მოიცავდა, დრამატურგიიდან მეცნიერებამდე. ამბობენ, რომ ის „პორშეს" ყველაზე დიდი ფანია მსოფლიოში. ასე რომ, მწერლები იხსნიან სათვალეს და საჭესთან დაჯდომისას მთელ მსოფლიოს იზიდავენ. და არის კიდევ ერთი, ყველაზე საინტერესო მოვლენა, სტიგი...


LAND ROVER
Range Rover



ROLLS-ROYCE
Phantom


LAMBORGHINI
Gallardo Spyder


SUBARU
Legacy Outback


LAMBORGHINI
Gallardo LP550-2 Valentino Balboni



CITROEN
DS3

hosted annual awards for the Car of the Year and there was nothing any brand would not give up for it to be possible to pay the show for this..

2002 – Range Rover;
2003 – Rolls-Royce Phantom;
2004 – Volkswagen Golf GTI;
2005 – Bugatti Veyron;
2006 – Lamborghini Gallardo Spyder;
2007 – Ford Mondeo or Subaru Legacy Outback;

## ᲐᲕᲢᲝ

ინფორმაცია, რომელსაც ვერცერთ კატალოგში ვერ ნახავთ და ვერცერთი რეკლამა ვერ მოგიყვებათ – ისტორიები და ბრენდული მახასიათებლებია, რომელიც ურბანული ლეგენდების დონეზე ავიდა ამ შოუში. სულაც რომ არ მივაქციოთ ყურადღება ორი საყვარელი ბრენდის შედარების უდიდეს აზარტსა და სხვადასხვა მონაცემის დეტალურ გარჩევას, აქ სტილისტურადაც კი ყველაფერი გამართული და დახვეწილია. ყოველ წელს გადაცემა საუკეთესო მანქანას აჯილდოვებდა, და რას არ მიცემდა თითოეული „მარკა“, რომ ამაში ფულის გადახდა ყოფილიყო შესაძლებელი.



VOLKSWAGEN
Golf GTI


BUGATTI
Veyron


FORD
Mondeo


CATERHAM 7
Superlight R500



LAND ROVER
Range Rover Evoque


LAND ROVER
Range Rover Evoque



LAND ROVER
Freelander



The STIG






BUGATTI Veyron
Grand Sport Venet



The French artist Bernar Venet oversaw the construction of a one-off Bugatti Veyron



BUGATTI Veyron
Grand Sport L'Or Blanc



It's the world's first vehicle with porcelain elements in exterior and interior styling





BEN COLLINS





2008 – Caterham 7 Superlight R500;
2009 – Lamborghini Gallardo LP550-2 Valentino Balboni;
2010 – Citroen DS3;
2011 – Range Rover Evoque.

In several final episodes of the show the cars of the decades were announced; there were only two: Land Rover Freelander and Bugatti Veyron.

## THE STIG

„We only know that its name is Stig", „They say that Stig..." – this is the most famous and ritual part of the show, the unrivaled racer permanently displayed in a helmet – „Stig". Nobody in the world knew who he was. They even thought it was a robot, which was probably the only way to explain it being so skillful. The main job of the primary test pilot of the show is to run a car at the highest possible speed at Dunsfold Park. Without Stig the show would not have been as popular as it was. By the last season finale, when everyone was sure – Stig would turn out to be Schumacher, he took the helmet off and appeared to be Ben Collins, the British Formula 3 racer.

## THE TRACK

Top Gear owns probably the only road where a horse and a Formula 1 pilot could meet while Stig sits in a cheap car listening to the Immigrant Song by Led Zeppelin. While famous musicians and movie stars compete with each other being evaluated under the sound of bikes and trucks.

## DETAILS

At the end of the day the show is heaven for everyone who love cars even a slight bit. It's impossible for such a show, interesting dialogues, faces, many mysterious mini-stories and so much adrenaline not to engage the audience. The show announced the best program of the decade in 2009 has online games, a magazine and a multi-million fan page and keeps living; More precisely, it keeps rushing into every moment we fire up the engine at a very high speed.

2002 – Range Rover;
2003 – Rolls-Royce Phantom;
2004 – Volkswagen Golf GTI;
2005 – Bugatti Veyron;
2006 – Lamborghini Gallardo Spyder;
2007 – Ford Mondeo or Subaru Legacy Outback;
2008 – Caterham 7 Superlight R500;
2009 – Lamborghini Gallardo LP550-2 Valentino Balboni;
2010 – Citroen DS3;
2011 – Range Rover Evoque.

გადაცემის რამდენიმე ბოლო გამოშვებაში კი ათწლეულების მანქანები დასახელდა. მხოლოდ ორი: Land Rover Freelander და Bugatti Veyron.

## სტიგი (The Stig)

„ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ მას სტიგი ჰქვია", „ამბობენ, რომ სტიგი..." – ეს გადაცემის ყველაზე ცნობილი და რიტუალური პასაჟია, მუდმივად ჩაფხუტში ნაჩვენები უბადლო მრბოლელი – „სტიგი", რომლის ვინაობაც არავინ იცოდა დედამიწის ზურგზე. იმასაც კი ვარაუდობდნენ, რომ რობოტი იყო – ალბათ, მხოლოდ ამით თუ აიხსნებოდა მისი ასეთი ოსტატობა. შოუს გამომცდელი პილოტის მთავარი საქმიანობა მანქანის ყველაზე მაღალი სიჩქარით გაქანებაა „დენსფილდ პარკში". „სტიგის" გარეშე გადაცემა ვერ მოიხვეჭდა ამხელა პოპულარობას. ბოლო სეზონის ფინალისაკენ, როდესაც ყველა დარწმუნებული იყო - სტიგი შუმახერი აღმოჩნდებოდა, მან საზეიმოდ მოიხსნა ჩაფხუტი და ის ბრიტანული ფორმულა სამის მრბოლელი, ბენ კოლინზი აღმოჩნდა.

## ტრასა

Top Gear-ისაა, ალბათ, ის ერთადერთი გზა, სადაც ერთმანეთს ცხენი და ფორმულა ერთის პილოტები შეიძლება შეხვდნენ. „სტიგი" ამ დროს იაფფასიან მანქანაში იჯდეს და Led Zeppelin-ის Immigrant Song-ს უსმენდეს. ცნობილი მუსიკოსა თუ კინოს ვარსკვლავები კი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ და მათ სატვირთო მანქანებისა ან მოტოციკლების ზუზუნში ქულებს უწერდნენ.

## დეტალები

საბოლოო ჯამში, გადაცემა სამოთხეა მათთვის, ვისაც ავტომობილები ოდნავ მაინც უყვარს. შეუძლებელია, ასეთმა სანახაობამ, საინტერესო დიალოგებმა, სახეებმა, უამრავმა გაუხსნელმა მინისიუჟეტმა და ამდენმა ადრენალინმა მაყურებელი არ ჩაითრიოს. შოუს კი, რომელიც 2009 წელს ათწლეულის საუკეთესო პროგრამად აღიარეს და ახლაც გრძელდება, შემდეგ, ონლაინ თამაშები, ჟურნალი და მრავალმილიონიანი ფანგვერდი აქვს. Top Gear უცვლელად აგრძელებს არსებობას, უფრო სწორედ, დიდი სიჩქარით შემოჭრას ყველა იმ მომენტში, როდესაც ძრავას დავქოქავთ.

# A Race

# რბოლა ავტოპაემანისათვის

It had been a while since they were this bored.

It's usually a cool weather on Vera, but the air is very thick today. Two girls are sitting on a balcony, counting the neighbor's laundry ropes out of boredom, with their long legs on the railings.

– What do we do today? – One asked puffing in a sobbing intonation.

This one – the blonde with a turned-up nose is Vivec, she's actually called Victoria, but Vivec sounds "cooler" and guys "dig it".

– Let's jump from here – the second one answers, having chosen Danny as a name. She says her real name is too old-fashioned and uncool, she doesn't like what Darejan sounds like and she's often mad at her parents for having her grandmother's dusty name written on her ID.

– No, it's too high and we'll be cripples to the least, not mentioning the chance of dying – the blonde answers puffing again.

**ასეთ მოწყენილები** დიდი ხანია არ ყოფილან.

ვერაზე თითქოს სულ გრილა, მაგრამ დღეს ძალიან, ძალიან ჩახუთულია ჰაერი. აივანზე მოაჯირზე ფეხებშემოწყობილი ორი, გრძელფეხება მანდილოსანი მოწყენილობისაგან მეზობლის სარეცხის თოკებს ითვლის.

– დღეს რას ვეტაკოთ? – ხვნეშითა და მოზლუქუნო ინტონაციით იკითხა ერთმა.

ეს ერთი – ქერა, აპრეხილცხვირიანი გოგოშკა ვივეკაა, ისე ვიქტორია ჰქვია, მაგრამ ვივეკა „ძერსკად" ჟღერს, თან ბიჭებსაც ევასებათ.

– მოდი, აქედან გადავხტეთ. – პასუხობს მეორე, გრძელფეხება, რომელსაც დანი აქვს სახელად არჩეული. ისე ძალიან ძველმოდური და გოიმური სახელი მქვიაო ამბობს. დარეჯანის ჟღერადობა არ მოსწონს და მშობლებზეც ხშირად ბრაზობს, რომ პირადობაში ბებიის მტვერმოკიდებული სახელი უწერია.

– არა, ძალიან მაღალია და მინიმუმ დავმახინჯდებით, სიკვდილზე აღარაფერს ვამბობ. – ისევ ოხვრით პასუხობს ქერა.



# for a Car Date

**MARIAM NANOBASHVILI** (Especially for Tegeta Motors)
**მარიამ ნანობაშვილი** (სპეციალურად თეგეტა მოტორსისათვის)
Busuna.ge, Tjorven's checkered blog/ ჩორვენის კუბოკრული ბლოგი

– Well you think of it then, it's too hot and we're out of tonic – Danny says a little too offended.

This girl is not used to being lonely and bored.

– Take the netbook and check out Face (Face for Facebook) Viv, maybe there's something interesting going on today – Danny's offer is close to smart.

– Here's what we've got – club, club, poetry meeting – dammit, then there's a charity event...

– Is there nothing normal going on anywhere? Like a normal situation or a normal crowd – Danny asks sadly.

These two young girls being more than quite beautiful are used to the center of attention and cannot imagine being otherwise.

They particularly like guys engaged in extreme sports, owning fast cars and looking for adventures.

– Hah! Would you look at that?! – Vivec turned in her chair with delight.

So many brilliant cars lined up – Nissan, BMW, Subaru and even the most beautiful car in the city – the red Mazda was there.

– ოოო, მაშინ შენ თვითონ მოიფიქრე, ძალიან მცხელა და ტონიკიც დაგვიმთავრდა. – უკვე საკმაოდ ნაწყენია დანი.

ეს ორი გოგო არ არის მიჩვეული მარტოობასა და მოწყენილობაში დროის გატარებას.

– ვივ, აიღე ნეტბუქი და ფეისს გადახედე, იქნება რამე საინტერესო ხდება დღეს? – დანის შეთავაზება საღ აზრთან ახლოსაა.

– ესე იგი, – კლუბი, კლუბი, პოეზიის საღამო – ტფუი, მერე კიდევ საქველმოქმედო აქცია...

– რა იყო, რამე ნორმალური აღარსად არაფერი ხდება? ან ნორმალური სიტუაცია რომ იყოს, ან ნორმალური სასტავი – ნაწყენი კითხულობს დანი.

ეს ორი ახალგაზრდა და საკმარისზე მეტად ლამაზი გოგონა საზოგადოების ყურადღების ცენტრში ყოფნას არის მიჩვეული და სხვანაირად ვერ წარმოუდგენიათ. განსაკუთრებით ექსტრემალი ბიჭები უყვართ, რომლებსაც სწრაფი მანქანები ჰყავთ და თავგადასავლებს ეძებენ.

– ოჰოოოო... – აღტაცებისგან სკამზე დაბზრიალდა ვივეკა.

– ჰა, რა, აბა რა? რა ხდება? არის პონტი??





– What? What is it? Anything cool?? – Danny jumped up; she couldn't have remained calm after such news.

– There's a thing going on today, a drag race on Nutsubidze, plus Guga's coming... Pass me the phone, I'll text him.

These girls were quite the experts in different car competitions and extreme activities. How else were they supposed to bond with the guys they liked? You gotta talk about something before it comes to asking you out.

– Remember there was a rally in Lilo and I hooked up with this cute guy? – Danny asks with her eyes narrowed

– Yeah, how could I forget you lying under his car... – Vivi answers laughing

– Yeah, whatever. What I wanted to say is that he's a great "wheel" so maybe he'll be there today as well, huh? – Danny continued in a dreamy voice

– Get up, get up and go start looking like a human; you going there looking like this will be pointless...

– Aaa! Guga texted me back, he'll be here in an hour – and Danny ran into the room after Vivec

Their preparations were faster than usual, but with additional efforts. They emptied the closet out and then put

– წამოხტა დანი, ასეთი შეძახილის მერე გულგრილი ვერ დარჩებოდა.

– დღეს პონტში ვართ, დრაგია, ნუცუბიძეზე, თან გუგაც მიდის... მოიცა, მომაწოდე ტელეფონი, მივწერო.

ეს გოგონები საკმაოდ კარგად ერკვეოდნენ სხვადასხვა ავტოშეჯიბრებებსა და აქტივობებში, აბა როგორ? მოწონებულ ბიჭთან რამეზე ხომ უნდა ისაუბრონ, სანამ საქმე სადმე დაპატიჟებამდე მივა.

– გახსოვს, ლილოში რალიზე რომ ვიყავით, სიმპათიური ტიპი რომ ავაგდე? – თვალებდაჭუტული კითხულობს დანი.

– კეე, მაგას რა დამავიწყებს, მანქანის ქვეშ ჩაუწექი და... – ხარხარით პასუხობს ვივი.

– ჰო, ნუ რაღაც ეგრე, მაგრამ სხვა რამის თქმა მინდოდა, ეგ მაგარი „რულია", ჰოდა, იქნებ დღესაც იყოს იქ, ჰა? – მეოცნებე ხმით განაგრძო დანიმ.

– ადე, ადე, ადამიანს დაემსგავსე, თორემ არაფერი გამოვა დღეს, ესეთ „ვიდზე" თუ წამოხვალ იქ...

– ააა, გუგასგან პასუხი მოვიდა, გამოგვივილის 1 საათშიიიი... – და დაფუფქულივით ოთახში შევარდნილ ვივეკას დანიც აედევნა.

გოგოების მომზადება ჩვეულებრივზე სწრაფად, მაგრამ დამატებითი ძალისხმევით მიმდინარეობდა. კარადიდან ყრიდნენ და უკან აბრუნებდნენ უამრავ ტანსაცმელს, ხოლო იმ მომენტში, როცა გუგას ზარი შემოვიდა მობილურზე, უკანასკნელი შტრიხები შეიტანეს საკუთარ ვიზუალში და კიბეზე დაეშვნენ.

* * *

ნუცუბიძეზე დრაგამდე, რა თქმა უნდა, ცოტა ხანი „ბირჟაობამ" წაიღო, ცოტაც მისალმების მთელმა რიტუალმა, თანაც, ხომ უნდა მოსაღამოვებულიყო, რომ მანქანებიც შეთხელებულიყო და პატრულის მოძრაობაც დაემულამებინათ.

– აუუ, სად არის ნეტავ? – ტუჩის კვნეტითა და ფეხის ბრეცვით წაიჩურჩულა დანიმ.

– მე რა ვიცი, ალბათ, რალისთვის ინახავს მანქანას, – ვივეკას ვარაუდით, ასეც უნდა ყოფილიყო.

ხმამაღალმა სტვენამ უცებ ყველა ერთი მიმართულებით მიაბრუნა.

რა მანქანას აღარ ნახავდით – „ნისანი", „ბე-ემ-ვე", „სუბარუ" და, თქვენ წარმოიდგინეთ, ქალაქის ერთ-ერთი ულამაზესი მანქანა, წითელი „მაზდაც" იქ იყო.

გოგოებს თვალები გაუბრწყინდათ.

სტარტზე ორი ფავორიტი ერთად დადგა – ატყდა სტვენა და შეძახილები.

– მზად ხართ? – ხმამაღლა იკითხა ვიღაც ბიჭმა, რომელსაც სტარტის ნიშანი უნდა მიეცა, შემდეგ კი დათვლა დაიწყო.

საბურავების წუილისა და ძრავის ხრიალის შემდეგ უკვე სტვენები და შეძახილებიც გაისმა, თუმცა გოგოებს ამისათვის აღარ ეცალათ.

– სალამი, აუ რა მაგარ „ვიდზე" გყავს მანქანა. – კეკლუცად გამოსცრა დანიმ.

– მადლობა, ერკვევი მანქანებში? – აგდებულად უპასუხა კითხვითვე ავტომობილის მაღალმა, უზომოდ გამხდარმა, შავგვრემანმა პატრონმა.

when there was an incoming call from Guga, they added final details to their visuals and went down the stairs.

* * *

Before the drag on Nutsubidze began, they spent some time „hanging", some more time saying hello to everyone, besides, it was supposed to go dark so that there would be fewer cars on the roads and the police cars would be easier to track.

– Where is hee? – Danny whispered biting her lip and twisting her leg

– How do I know; he's probably saving his car for the rally – Vivec supposed. An unexpected loud whistle turned everyone into the same direction.

So many brilliant cars lined up – Nissan, BMW, Subaru and even the most beautiful car in the city – the red Mazda was there.

There was a spark in the girls' eyes.

Two favorites came together at the start – there were whistles and cheering

– Are you ready? – Some guy that was supposed to announce the start of the race asked loudly and then he started counting.

The tires squeaked and the engines roared, then there were whistles and shouting, but the girls were busy for all of that.

– Hey, your car looks great – Danny said flirting

– Thanks, so you know cars? – The tall, extremely skinny owner with dark hair asked her mockingly in response.

– Noot so well, but I really liked yours; it has a rotor engine, right? – Danny smiled shyly.

The reaction exceeded all expectations – the owner of the car couldn't close his jaw for a while.

– Are you kidding me? – The guy asked rather embarrassed

– What do you mean, I'm kidding you? – Now Danny was surprised

– How do you know that? You said you didn't know much about cars! Did you lie? – There was a bunch of questions addressing her all of a sudden

– აარრცისე, მაგრამ შენი მაგრად „დამევასა", ამას როტორული ძრავი აქვს არა? – მორცხვად გაიღიმა დანიმ.

რეაქციამ მოლოდინს გადააჭარბა, მანქანის პატრონმა პირი დიდ ხანს ველარ დახურა.

– შენ რა მეღადავები? – საკმაოდ შეცბუნებული ხმით ჰკითხა ახალგაზრდამ.

– რას ქვია გეღადავები? – ახლა დანი დარჩა გაოცებული.

– შენ, და ისა... საიდან იცი? აბა მანქანებში ვერ ვერკვევიო? მომატყუე? – კითხვების კორიანტელი დადგა უცებ.

ამ დროს გვერდით ჩუმად მდგომ ვივეკას სხვა ტიპი მიუახლოვდა.

– „მაზდა" რო არ იყოს, სხვა მანქანა არ წავა? – ძალიან აგდებულად დასვა უმისამართო კითხვა.

ვივეკა აიმრიზა და დროულად გაერიდა, ხოლო დანის ჯერვერგაცნობილმა ნაცნობმა სერიოზულად შეუბღვირა ახალმოსულს.

– გოგლიკ, დავაი რა, ვერ ხედავ ვსაუბრობთ? მიდი შენს მაცივარს მიხედე...

საბურავების წუილისა და ძრავის ხრიალის შემდეგ უკვე სტვენები და შეძახილებიც გაისმა, თუმცა გოგოებს ამისათვის აღარ ეცალათ.

– სად გავჩერდით? ა, ჰო, რომ დავდგები წამოხვალ ჩემთან ერთად? ხო არ გეშინია?

– მე? მეშინია? რას ამბობ, ძალიან მიყვარს სისწრაფე. - დანი ფორმაში იყო.

სულ მალე „მაზდას" ჯერი დადგა, მართალია, მოწინააღმდეგეები დიდ გულზე იყვნენ, მაგრამ ყველა ერთსა და იმავე გამარჯვებულს ვარაუდობდა ამ „ზაეზდზე".

სტარტზე ისევ აღმუვლდა ძრავები, თუმცა ამჯერად დანი ერთ-ერთი მონაწილე იყო და უკვე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მისთვის, ვინ გაიმარჯვებდა.





In the meantime some other guy approached Vivec standing quietly nearby.

– Would it not work if it's not a Mazda? – He asked an indirect question scornfully.

Vivec felt offended and moved away in time while Danny's new acquaintance frowned angrily at the guy

– Fuck off Goglik; can't you see we're talking?! Go mind your fridge…

– So where were we? Yeah, will you come with me to race? You're not afraid, are you?

– Me? Afraid? Come on, I love speed – Danny was in shape

Soon it was time for the Mazda to compete, although the competition had high hopes, everyone presumed the same winner on this lap.

The engines were roaring at the start again, yet Danny was a part of it now and this time the winner was of high importance to her.

– We'll outrun them, right? – She asked her pilot with confidence

– Yeah, don't doubt that

And the countdown started

– Three, two, one, Goooooooooooooooooooooo…

Danny felt how she was stuck to the bench from sudden acceleration and though her heart was pounding, she enjoyed it…

There was this awesome pilot sitting next to her in this cool car with a perspective for later.

Everything was familiar to her, except one thing – there was a police siren from somewhere and red and blue lights showed up not so far away.

– Now I'm worried, it's the first time the police is chasing whoever I'm sitting with – Danny almost choked on her words

– And will it be the first time if I tell you we'll get away from them? – The young extremely skinny Mazda driver asked her laughing and pressed the gas pedal eagerly…

დანიმ იგრძნო, როგორ მიეწება სკამს მკვეთრი აჩქარებისგან და თუმცა გული უხტოდა, მაინც კმაყოფილი იყო…



– ჩვენ გავუსწრებთ არა? – იმედიანად ჰკითხა თავის პილოტს.

– იასნაა, ეჭვი არ შეგეპაროს.

და აი, ათვლა დაიწყო

– სამი, ორი, ერთი , წავიდააააააააააააააააააააააა…

დანიმ იგრძნო, როგორ მიეწება სკამს მკვეთრი აჩქარებისგან და თუმცა გული უხტოდა, მაინც კმაყოფილი იყო…

ასეთი პილოტი ეჯდა გვერდით, „ძერზკ“ მანქანაში, საღამოს გაგრძელების პერსპექტივით.

მისთვის ყველაფერი ნაცნობი იყო, ერთის გარდა, საიდანღაც საპატრულო მანქანის სირენა გაისმა და არცთუ ისე შორს წითელ-ლურჯი ნათურების ელვაც გამოჩნდა.

– აი, ეხლა კი ვღელავ, ეს პირველად არის, როდესაც პატრული აეკიდა იმას, ვისთანაც ვზივარ. – ბორძიკით ამოღერღა დანიმ.

– და ისიც პირველად იქნება თუ გეტყვი, რომ ეხლა ამ პატრულს „დავუტყდებით“? – სიცილით ჰკითხა „მაზდას“ ახალგაზრდა, ძალიან გამხდარმა მძღოლმა და „გაზის პედალს“ ფეხი მონდომებით დააჭირა…

Source: http://www.busuna.ge/2012/08/blog-post.html

PHOTOS www.mazda.co.jp; www.mazda.pt

# TEGETA MOTORS – company with the best quality in the field of auto products and services




Courtyard Marriot hosted a traditional ceremony dedicated to awarding oil companies. The event was organized by the Union of Oil Products Enterprises, Importers and Consumers.

Tegeta Motors was awarded as the company with the best quality in the field of auto products and services. Being nominated in this category was undoubtedly due to top quality auto products, highly qualified management and service centers of international standards. Tegeta Motors loyal customers are bound to agree with this statement.

Members of legislative and executive authorities, representatives of diplomatic missions accredited in Georgia and members of different organizations and business circles all attended the event.

Irakli Tsulukidze – sculptor – made the award prizes. The guests were served an amazing fourchette after the official ceremony.

PHOTO Tegeta Motors archive

# თეგეტა მოტორსი – საუკეთესო ხარისხის მქონე კომპანია ავტოპროდუქტებისა და სერვისის დარგში

**ქორთიარდ მერიოტში** ნავთობკომპანიების დაჯილდოების ტრადიციული ცერემონიალი გაიმართა. ღონისძიება ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირის მიერ იყო ორგანიზებული.

„თეგეტა მოტორსს“ გადაეცა ჯილდო, როგორც საუკეთესო ხარისხის მქონე კომპანიას ავტოპროდუქტებისა და სერვისის დარგში. უდავოა, რომ ნომინაციაზე კომპანიის წარდგენა, უპირველეს ყოვლისა, უმაღლესი ხარისხის ავტოპროდუქტებმა, მაღალკვალიფიციურმა მენეჯმენტმა და საერთაშორისო სტანდარტების სერვისცენტრებმა განაპირობა. ამაში „თეგეტა მოტორსის“ ერთგული მომხმარებელიც დაგვეთანხმება.

ღონისძიებას ესწრებოდნენ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წევრები, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური მისიების, სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ბიზნეს წრეების წარმომადგენლები.

ღონისძიებისთვის პრიზები დაამზადა მოქანდაკე ირაკლი წულუკიძემ. ოფიციალური ცერემონიალის შემდეგ ორგანიზატორები სტუმრებს არაჩვეულებრივი ალა ფურშეტით გაუმასპინძლდნენ.

# Tegeta Motors Suggests



## თეგეტა მოტორსი გირჩევთ

Automobiles and their owners equally need warm and safe clothing in winter – we – need resistant footwear, the car – winter tires, if it's always warm tea and coffee for us, to the car – it is antifreeze. These are the simple precautions you need to take to be prepared for the cold season and be less concerned about your car.

Aiming to take care of driver safety and give them all the necessary information Tegeta Motors organized a special event – on a cloudless day late autumn it started to snow on Rompetrol petrol stations. Using artificial snow the company reminded the drivers that winter was on the way and called for taking security measures, by preparing their automobiles and following precautions.

Tegeta Motors qualified consultants measured tyre pressure and checked their condition for safety reasons, they also gave drives advice on the winter season.

**ზამთარში** ავტომობილს და მის პატრონს ერთნაირად ესაჭიროებათ თბილი და უსაფრთხო ტანსაცმელი – თქვენ – გამძლე ფეხსაცმელი, ავტომობილს – ზამთრის საბურავი, თბილი ჩაი და ყავა ყოველთვის თან, მანქანას – ანტიფრიზი. ეს ის ელემენტარული ზომებია, აუცილებლად რომ უნდა მიიღოთ, რომ ცივ სეზონს მომზადებულები შეხვდეთ და ავტომობილმაც ნაკლები საზრუნავი გაგიჩინოთ.

მძღოლების უსაფრთხოებაზე ზრუნვის და მათთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდების მიზნით ,,თეგეტა მოტორსმა'' სპეციალური აქცია მოაწყო – როცა თბილისში ჯერ კიდევ გვიანი შემოდგომის ულრუბლო დღე იყო, ,,რომპეტროლის'' ავტოგასამართ სადგურებზე თოვდა. სწორედ ხელოვნური თოვლის მეშვეობით კომპანიამ მძღოლებს ზამთრის მოახლოების შესახებ შეახსენა და უსაფრთხოებისკენ მოუწოდა, რაც ავტომობილის მომზადებასა და სათანადო წესების დაცვას გულისხმობს.

უსაფრთოხების მიზნით, ,,თეგეტა მოტორსის'' კვალიფიციური კონსულტანტები საბურავებში წნევას და მათ მდგომარეობას

Promo-girls dressed particularly for the event asked the drivers simple questions to illustrate that it's very simple yet absolutely necessary to think of safety and changing tires in time. Those who answered the questions right, received branded gifts.

ამოწმებდნენ, ასევე აძლევდნენ მძღოლებს შესაბამის რჩევებს, ზამთრის სეზონთან დაკავშირებით.

სპეციალურად აქციისთვის გამოწყობილი პრომო გოგონები მძღოლებს მარტივ შეკითხვებს უსვამდნენ, რაც იმის მიმანიშნებელი იყო, რომ უსაფრთხოებასა და საბურავების დროულად გამოცვლაზე ფიქრი, უბრალოდ, ჰაერივით აუცილებელია. მათ, ვინც კითხვებზე სწორი პასუხები გასცა, ბრენდირებული საჩუქრები გადაეცათ.

## USEFUL TIPS

– Change tires with the arrival of winter

– Check and change the accumulator if necessary

– Constantly control the amount of special cleaning liquid in the windshield cleaning tank. Such liquid ensures high quality cleaning and does not freeze at the same time

– Check the antifreeze for quality and percentage – it should not be less than 35% and more than 50%; Antifreeze protects the automobile cooling system from freezing. It also ensures pump lubrication and protects it from corrosions.

– Clean the brake system often since large amounts of mud and water damages it.

## სასარგებლო რჩევები

– ზამთრის დადგომისთანავე შეცვალეთ საბურავები

– შეამოწმეთ და, აუცილებლობის შემთვევაში, გამოცვალეთ აკუმულატორი

– მუდმივად აკონტროლეთ საქარე მინის გასაწმენდ ავზში სპეციალური გასაწმენდი სითხის არსებობა. ამგვარი სითხე უზრუნველყოფს შუშის გაწმენდას და ამავდროულად არ იყინება

– შეამოწმეთ ანტიფრიზი ხარისხზე და პროცენტულობაზე – არ უნდა იყოს 35 %-ზე ნაკლები და 50 %-ზე მეტი; ანტიფრიზის იცავს ავტომობილს გაგრილების სისტემას გაყინვისგან. ასევე, უზრუნველყოფს წყლის ტუმბოს შეზეთვას და კოროზიისგან დაცვას

– ხშირად გაწმინდეთ სამუხრუჭე სისტემა, რადგან დიდი რაოდენობით ტალახი და წყალი მას აზიანებს.

Why is it necessary to change tires in winter? First of all, all drivers should know that winter and summer tires have their rules of use and exploitation. They differ in technological and chemical composition. Thus when the temperature goes down to +7 degrees, you need to use winter tires.

With winter tires the braking distance is reduced by 4 and that makes driving much safer.

რატომ არის აუცილებელი ზამთარში საბურავების გამოცვლა? პირველ რიგში, ყველა მძღოლმა უნდა იცოდეს, რომ ზაფხულისა და ზამთრის საბურავებს აქვს თავისი მოხმარების და ექსპლუატაციის წესები. ისინი განსხვავდება ერთმანეთისგან, როგორც ტექნოლოგიური, ისე ქიმიური შემადგენლობით. სწორედ ამიტომ, როცა ტემპერატურა +7 გრადუსამდე დაეცემა, ზამთრის საბურავების გამოყენებაა აუცილებელი.

ზამთრის საბურავებით აღჭურვილი მანქანის სამუხრუჭე მანძილი 4-ჯერ მცირდება. ეს კი გაცილებით უსაფრთხოს ხდის მგზავრობას.



PHOTOS Tegeta Motors archive

# TEGETA MOTORS – exclusive Faber




Faber is the world leader in manufacturing natural gas high-pressure cylinders. Its history started in 1972. Today this brand is known as the manufacturer of the most high-tech and safe compressed natural gas (CNG) cylinders. Faber cylinders are produced under strict quality control, particularly – taking the ISO 9001 demands into full consideration. These cylinders are distinctively light and have a longer-term durability in comparison to other brands. The cylinders are examined in 8 different methods throughout the production process, conditioning particular safety.

Tegeta Motors became the exclusive Faber distributor in Georgia and now, besides the high quality Italian apparatus by Landirenzo, customers can already have the top-notch Faber cylinders installed at different service centers.

## თეგეტა მოტორსი – FABER-ის ექსკლუზიური დისტრიბუტორი საქართველოში

**რა უნდა იცოდეთ, თუ ავტომობილში გაზის აპარატურის დამონტაჟებას გადაწყვეტთ და რამდენად უსაფრთხოა ბუნებრივი აირის აპარატურა?!**

**ფაბერი** მსოფლიო ლიდერია ბუნებრივი აირის მაღალი წნევის ცილინდრების წარმოებაში. მისი ისტორია 1972 წელს დაიწყო. დღეს ეს ბრენდი ცნობილია, როგორც ყველაზე მაღალტექნოლოგიური და უსაფრთხო დაწნეხილი ბუნებრივი აირის (ბ/ა) ცილინდრების მწარმოებელი. „ფაბერის“

# distributor in GEORGIA

## What you need to know if you decide to install gas equipment in your car and how safe is the natural gas equipment?!



As the specialists say, natural gas is absolutely safe when there's a high quality apparatus installed, with high quality cylinders and by specialist who have been trained accordingly. If everything is in its place in this sense, driving a car equipped with the fourth generation CNG apparatus is comfortable and safe. Drivers are mostly afraid that the natural gas will inflame, yet the specialists have the following answer to that: natural gas is lighter than air and is easily mixed with it, if it's not accumulated on purpose (to be inflamed), even if you turn the tap of the special cylinder and try to set it on fire, it will simply not inflame. Besides, in order for the cylinder to explode (disorganize), it requires 450-550 bars of atmosphere, which is a pressure that is very difficult to reach.

The cylinder has to be installed firmly, transversely to the car. There are certain standards to be upheld, which is not a problem for a service center with experience – specialists at Tegeta Motors are systematically trained. They provide quality and tested apparatus and cylinders and are ready to give out long-term guarantees. Their image and history

ცილინდრები იწარმოება მკაცრი ხარისხის კონტროლის პირობებში, კერძოდ, ხარისხის მართვის, ISO 9001-ს, მოთხოვნების სრული გათვალისწინებით. „ფაბერის" ცილინდრები განსაკუთრებული სიმსუბუქით გამოირჩევა და სხვა ბრენდებთან შედარებით, ხანგრძლივი ექსპლუატაციის ვადა აქვს. ცილინდრები წარმოების პროცესში 8 სხვადასხვა მეთოდით მოწმდება, რაც განსაკუთრებულ უსაფრთხოებას განაპირობებს.

Faber-ის ექსკლუზიური დისტრიბუტორი საქართველოში „თეგეტა მოტორსი" გახდა და მომხმარებელს სხვადასხვა სერვისცენტრებში „ლანდირენცოს" უმაღლესი ხარისხის იტალიური აპარატურის გარდა, უკვე Faber-ის უმაღლესი ხარისხის ბალონების დამონტაჟების შესაძლებლობაც აქვს.

როგორც სპეციალისტები ამბობენ, სინამდვილეში ბუნებრივი აირი აბსოლუტურად უსაფრთხოა, როცა მონტაჟდება მაღალი ხარისხის აპარატურა, მაღალი ხარისხის ბალონი და მემონტაჟეებს შესაბამისი ტრენინგები აქვთ გავლილი. თუ ამ მხრივ ყველაფერი რიგზეა, ბ/ა-ს მეოთხე თაობის აპარატურით აღჭურვილი ავტომობილის მართვა კომფორტული და უსაფრთხოა. ყველაზე ხშირად მძღოლებს ბუნებრივი აირის აალების შიში აქვთ, მაგრამ სპეციალისტებს ამაზე შემდეგი პასუხი აქვთ: ბუნებრივი აირი ჰაერზე მსუბუქია და ადვილად ერევა მას, თუ სადმე სპეციალურად არ დაგროვდა, (ისე რომ აალებადი

**თუ ავტომობილში ყველაფერი სწორადაა დამონტაჟებული, მგზავრებმა გაზის სუნიც კი ვერ უნდა იგრძნონ**



causes no doubt. So it is very important to doublecheck and carefully select where you will have the natural gas equipment installed – it should be trustworthy of your and you family's safety.

Keep in mind: if everything is installed well, the passengers should not be able to smell gas.

If the natural gas apparatus is divided into generations, the cylinders are separated into types. Paricularly, there are 4 types of cylinders: CNG TYPE I, CNG TYPE II, CNG TYPE III, CNG TYPE IV.



## If everything is installed well, the passengers should not be able to smell gas

გახდეს) სპეციალურ ბალონზე ონკანი შეგნებულადაც რომ მოუშვათ და ცეცხლის მოკიდება სცადოთ, ცეცხლი უბრალოდ არ მოეკიდება. გარდა ამისა, ბალონის აფეთქებას (რღვევას) 450-550 ბარის ოდენობის ატმოსფერო სჭირდება, რაც ძალიან რთულად მიღწევადი წნევაა.

აუცილებელია, ბალონი ავტომობილის განივად, მყარად იყოს დამონტაჟებული. საჭიროა გარკვეული სტანდარტების დაცვა, რასაც გამოცდილების მქონე სერვისცენტრი აუცილებლად უზრუნველყოფს – „თეგეტა მოტორსში“ სპეციალისტები გადიან სისტემატურ ტრენინგებს, გვთავაზობენ ხარისხიან და გამოცდილ აპარატურას, ბალონებს და მზად არიან გრძელვადიანი გარანტიის გასაცემად. ხოლო მათი იმიჯი და ისტორია არ იწვევს ეჭვს. ამიტომ მნიშვნელოვანია, კარგად გადაამოწმოთ და გულდასმით შეარჩიოთ ბუნებრივი აირის აპარატურის სამონტაჟო პუნქტი, რომელსაც ანდობთ თქვენი და თქვენი ოჯახის უსაფრთხოებას.

გაითვალისწინეთ: თუ ავტომობილში ყველაფერი სწორადაა დამონტაჟებული, მგზავრებმა გაზის სუნიც კი ვერ უნდა იგრძნონ.

თუ ბუნებრივი აირის აპარატურა თაობებად იყოფა, ბალონების დაყოფა ტიპების მიხედვით ხდება. კერძოდ, არსებობს ბალონების 4 ტიპი: CNG TYPE I, CNG TYPE II, CNG TYPE III, CNG TYPE IV.

### MANDATORY SAFETY MEASURES:

You should have the system checked every 6 months. Besides, the cylinder has to be removed and examined with a hydro test once every 3 years. This means: filling the cylinder with water on a special stand and keeping it under 300 bar atmosphere pressure for several minutes. If the cylinder is not flawed during the examination, it is permitted to be used for the following 3 years. It should also be examined visually – for micro-corrosions. The weight should also be checked since the corrosions could cause damage from the inside making the cylinder not valid for exploitation. If the expiration date has passed the cylinder cannot be used even if it passes the test, using the cylinder after the expiration date means putting ourselves and those surrounding us in direct danger.

### აუცილებელი უსაფრთხოების ზომები:

სისტემის პროფილაქტიკური შემოწმება ყოველ 6 თვეში ერთხელ უნდა მოხდეს. გარდა ამისა, ყოველ 3 წელიწადში ერთხელ აუცილებელია ბალონის მოხსნა, მისი დაცლა და ჰიდროტესტით შემოწმება. რას ნიშნავს ეს: სპეციალურ სტენდზე ბალონი ივსება წყლით და 300 ბარი ატმოსფეროს წნევის ქვეშ რამდენიმე წუთი ჩერდება. თუ ამ გამოცდას გაუძლო და არ მოხდა ბალონის სიმთელის დარღვევა, მისი გამოყენება დაშვებულია მომდევნო 3 წლის განმავლობაში. ასევე, უნდა მოხდეს ვიზუალური შემოწმებაც – ხომ არ აქვს მიკრობზარები. უნდა შემოწმდეს წონაც, რადგან შეიძლება კოროზიამ იგი შიგნიდან დააზიანოს, რის გამოც დაუშვებელი გახდება ბალონის შემდგომი ექსპლუატაცია. აუცილებელია, გავითვალისწინოთ ბალონზე მითითებული ექსპლუატაციის ვადა. თუ ვადა გასულია, ტესტირების დადებითად გავლის შემთხვევაშიც კი არ შეიძლება ბალონის გამოყენება, ამით პირდაპირ საფრთხეს ვუქმნით საკუთარ თავს და გარშემომყოფებს.

# ENGINE EXPERT




ADVANCED TECHNOLOGIES FOR CLEANER ENGINES 17

FEDERAL MOGUL
CHAMPION
GLYCO
GOETZE
Nüral
Payen

☎ 224 44 44
info@tegetamotors.ge
www.tegetamotors.ge

თეგეტა მოტორსი
TEGETA MOTORS
HOLDING COMPANY
დროა აირჩიო ხარისხი




# TEGETA MOTORS is a four-time **GOLDEN BRAND** winner!




## FLATTERING NEWS!

On April 4, 2012 the Golden Brands awards ceremony was held at hotel Radisson Blu Iveria and Tegeta Motors won a Golden Brand award for the fourth time – in the field of auto products and services. It was also named as the company particularly succeeding in the branding on the Georgian Market.

This success was very important since up to 200 experts assess and evaluate the brand and trademark awareness, projects implemented with the view of its popularization. Survey results are summarized by counting the votes of experts that were questioned by the representatives of the Georgian Chamber of Commerce, US Chamber of Commerce, company Global Idea, and the newspaper The Financial. Nominees are selected according to the level of public awareness, popularity and creative advertising campaigns carried out by the company. Professors and teachers of high education institutions, heads of different companies, business administration specialists, consulting groups, representatives of the governmental and non-governmental business sectors participated in the 2011 Golden Brand awards.

# თეგეტა მოტორსი ოთხგზის **ოქროს ბრენდის** მფლობელია!

## სასიამოვნო სიახლე!

2012 წლის 4 აპრილს, სასტუმრო „რადისონ ბლუ ივერიაში" ოქროს ბრენდების დაჯილდოების ცერემონიალი გიამართა, რომლის შედეგადაც „თეგეტა მოტორსი" უკვე მეოთხედ, გახდა ოქროს ბრენდის მფლობელი – ავტოპროდუქტებისა და სერვისის დარგში. ასევე დასახელდა საქართველოს ბაზარზე ბრენდინგულ საქმიანობაში განსაკუთრებულად წარმატებულ კომპანიად.

წარმატება ორმაგად სასიხარულოა, იმის გათვალისწინებით, რომ ბრენდის, სავაჭრო ნიშნის ცნობადობას და მისი პოპულარიზაციისთვის განხორციელებულ პროექტებს 200-მდე ექსპერტი აფასებს. გამოკითხვის შედეგები, საქართველოს სავაჭრო პალატის, ამერიკის სავაჭრო პალატის, კომპანია Global Idea-სა და გაზეთ The FINANCIAL-ის წარმომადგენელთა მიერ გამოკითხული ექსპერტების ხმების დათვლით ჯამდება. ნომინირებული ბრენდების შერჩევა მათი ცნობადობის, პოპულარობის, ასევე კომპანიის მიერ ამ ბრენდთან დაკავშირებით წარმოებული კრეატიული სარეკლამო კამპანიის გათვალისწინებით ხდება. ოქროს ბრენდების შერჩევაში უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლები, სხვადასხვა კომპანიების ხელმძღვანელი პირები, ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალისტები, კონსალტინგური ჯგუფები, სახელმწიფო და არასამთავრობო ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები იღებდნენ.

PHOTOS Tegeta Motors archive




**TBILISI**

*6 **Passenger Car** service centers, 2 **Truck** service centers, 10 **Trade** unit*

**POTI**

*1 **Passenger** Car service center, 1 **Truck** service center, 1 **Trade** unit*

**BATUMI**

*1 **Passenger Car** service center, 1 **Trade** unit*

**KUTAISI**

*2 **Passenger Car** service centers, 1 **Truck** service center, 3 **Trade** unit*

**AKHALTSIKHE**

*1 **Passenger Car** service center, 1 **Trade** unit*

**TELAVI**

*1 **Passenger Car** service center, 1 **Trade** unit*

**GORI**

*1 **Trade** unit*

---

## TOTALLY 18 BRANCHES

---

12-km, D. Agmashenebeli alley, 0131, Tbilisi, Georgia
Tel.: +995.224.44.44, +995.226.44.44 | Fax: +995.224.44.44 (1119)
info@tegetamotors.ge | www.tegetamotors.ge | **facebook**: FB.com/TEGETAMOTORS


mazda
zoom-zoom
zoom-zoom
mazda
mazda center tbilisi
ORIGINAL
MADE IN JAPAN
ORIGINAL